



MES 7 21 0000590212



17/06/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 13 ივნისს**.

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting:

<https://us02web.zoom.us/j/89271875205?pwd=VWU1elo0M0MvUXVWVWmdNSEpZT3c0dz09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი

ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი

ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - დირექტორის მოადგილე

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“

გიორგი გოგიტიძე - დირექტორი

მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე

ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „აისი“

დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე

ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

გვანცა პაკატილოვი - იურისტი

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

რამაზ მაჭარაშვილი - დირექტორი;

ნინო ბერიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“

როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორი

ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე

ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“

ანა დათუაშვილი - დირექტორი

კახაბერ კახიაშვილი - დირექტორის მოადგილე

ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ნათია გოგინაშვილი - იურისტი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი

ცისკარა ზარანდია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

როინ თათეშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნუნუ ჭაღიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

შპს - „ცხუმ-ეგრისი“

გელა მამფორია - დირექტორი

ნონა თაკვალანძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“

ბელა ავალიშვილი - დირექტორი

მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

კონსტანტინე დოლიძე - დირექტორი

ია ნადირაძე - დირექტორის მოადგილე

ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

თეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი

მაკა კიკნაძე - სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი

ნატო დალუნდარიძე - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

ვასილ კიკნაძე - შესყიდვების სპეციალისტი

გივი თამარაშვილი - „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

მალხაზ სამა დაშვილი - „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ჭავჭავანიძე - „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ელიკო სიდონაშვილი - „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი ნარსია - „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ლეილა თარხნიშვილი - „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი დოლიძე - „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ივანე ხუცურაული - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვახტანგ ბოგველიშვილი

ნია გუგუნავა

ნანა შარაბიძე

ქეთევან ღვანიძე

თამთა კვინიკაძე

ვალერი ჯაჯანიძე

მანანა მახარაშვილი

იაზონ დანელია

დავით კუპატაძე

ნაზო წიბლიაშვილი

ირმა ღარიბაშვილი

დარეჯან კვატაშიძე

ინგა ბოჭოიძე

თამარ ახალაძე

ქეთევან ბოტკოველი

ალექსანდრე კეკენაძე

ნათია იორდანიშვილი
დავით გუდაძე
გიორგი ბერია
ლევან მადათოვი
ნიკოლოზ კიკნაველიძე
გივი დოლიძე
ჯიმშერ მაისურაძე
მანანა მოისწრაფიშვილი
გიორგი ხაბეიშვილი
თეა ლილუაშვილი
ნატალია დარჩინიანი
თამარ მოსეშვილი
ალინა კუპრავა
გენადი კვერენჩხილაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 10:15 საათი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომაზე ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს მარიამ ჩაგელიშვილს, ვინაიდან საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი სხდომას არ ესწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემაჯგუფებლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „მეზოსტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

7. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

9. შპს - „ცხუმ-ეგრისისთვის“ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

10. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

11. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

12. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

13. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

14. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

15. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

16. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

17. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

18. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

19. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

20. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

21. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

22. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

23. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს, სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ 12 ივნისის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა, ეს საკითხები დაემატება 13 ივნისის სხდომას.

1. შპს ორიენტირისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს ორიენტირისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს ორიენტირისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
6. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ელექტროობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
7. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
8. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

ექსპერტმა, მანანა მახარაშვილმა საბჭოს მიმართა დღის წესრიგის თანმიმდევრობის ცვლილების შუამდგომლობით. აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოზე საკითხის განხილვა დაგეგმილი იყო 12 ივნისს და გარემოებათა გამო გადმოტანილ იქნა 13 ივნისს, ხოლო მას წინასწარ ჩანიშნული ჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა 13 ივნისს, ითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხი საბჭოს მიერ განხილულიყო პირველ საკითხად.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანა დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით და შეახსენა საბჭოს, რომ მიმდინარე წლის 2 ივნისის საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა რიგ გადაწყვეტილებებში ცვლილების საკითხები, რომელთა მიზანი იყო, საბჭოს გადაწყვეტილებებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამიჯვნა პროფესიული პროგრამის განხორციელების ფორმის მიხედვით (მოდულური.დუალური). ცამეტი საკითხიდან თერთმეტი საკითხი განხილულ იქნა 2 ივნისის საბჭოს სხდომაზე, შეტანილ იქნა ცვლილებები შესაბამის გადაწყვეტილებებში, დღეს წარმოგიდგენთ სსიპ - კოლეჯი „აისის“ და სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ საკითხს, რაზეც სხდომის თავმჯდომარე დაეთანხმა. აქედან გამომდინარე,

საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

2. შპს ორიენტირისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ორიენტირისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ორიენტირისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

5. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ელექტროობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

7. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

9. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

10. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

11. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

12. ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

13. ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

14. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

15. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „მეზოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

16. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

17. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

18. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ე. ახალქალაქში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
19. შპს - „ცხუმ-ვერისისთვის“ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
20. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
21. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
22. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
23. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
24. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
25. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
26. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
27. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
28. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
29. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
30. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
31. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
32. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
33. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ

ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს მანანა მახარაშვილმა და იაზონ დანელიამ.

სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის № 304182 ბრძანების საფუძველზე. წარმოების მიზანს შეადგენდა, სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება.

კოლეჯმა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა 2018 წლის სექტემბერში, ხოლო მიმდინარე წარმოება ეხებოდა ამ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას.

დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:

კრიტერიუმი 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი (ინდიკატორი 2.2.1)

რეკომენდირებულია დაწესებულების მენეჯმენტმა უზრუნველყოს საქმიანობის დაგეგმვისას რისკების შეფასება და რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულების მატერიალური რესურსი/სასწავლო გარემო არ მოიცავს სველ წერტილს და ამწოვ სისტემას, პროფესიული სტუდენტების და პერსონალის უსაფრთხოების, ასევე სასწავლო ექსპერიმენტების/რეაქციების უსაფრთხოდ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიაში, მოეწყოს სველი წერტილი და ამწოვი კარადა/ ინდივიდუალური სავენტილაციო/გამწოვი სისტემის მონტაჟი.

ექსპერტებმა გაახმოვანეს კოლეჯის საუკეთესო გამოცდილება:

სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული ორიენტაციისა და განათლების პოპულარიზაციის მიზნით. დაწესებულებას შექმნილი აქვს ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“, სადაც ნებისმიერ დროს, დაინტერესებულ სკოლას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სასწავლო პროგრამებს, გაიაროს ელექტრონულად რეგისტრაცია ვიზიტზე (პროფორიენტაციის დონისძიებაზე), რომლის მიზანია ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორე მხრივ მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების მოსინჯვა-შეთავაზება.

ამავე მიზნით დაწესებულება აქტიურად არის ჩართული. სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში, როგორც პროფესიული მომზადების-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ, უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამების შემუშავებისთვის. ერთ-ერთი ასეთი განხორციელებული პროექტია, პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით, ტალინის ეკონომიკური სკოლასა და შპს

„ჯინჯერთან“ ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამა „სოციალური მედიის მართვა“. GIZ-თან თანამშრომლობით სხვადასხვა პროფესიული მომზადების-გადამზადების პროგრამები.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, დაწესებულებას ვებ-გვერდზე აქვს ასევე რუბრიკა - „გაიცანით პროფესიონალი“, სადაც განთავსებულია, კოლეჯის სხვადასხვა ასაკის კურსდამთავრებულთა წარმატების ისტორიები.

ექსპერტმა დაასახელა პროგრამის მონაცემები. აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება ეყრდნობოდა 2018 წელს, პროგრამი განხორციელების უფლების დროს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და კვლევებს, დამატებით წარმოდგენილი იყო მთავრობის მიმდინარე წლის დადგენილება პროფესიული მომზადება / გადამზადების პროგრამებისთვის, სადაც აღნიშნული მიმართულება არის პრიორიტეტული, გარდა ამისა კოლეჯს აქვს მსგავსი საგნობრივი პროგრამის განხორციელების გამოცდილება და წარმოდგენილი იყო კურსდამთავრებულთა და მათი დასაქმების სტატისტიკები. საერთო ჯამში, მსგავს პროგრამაზე 2013 -2020 წლებში კოლეჯის კურსდამთავრებულია 97 პირი და აქედან 57- დასაქმებულია. კოლეჯს ასევე აქვს ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების გამოცდილება.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, კოლეჯს ხომ არ აქვს კვლევა, კონკრეტულად ამ პროგრამის ინტეგრირების საჭიროების დასაბუთების შესახებ.

მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამის ინტეგრირების საჭიროების შესახებ კვლევა არ არის განხორციელებული, თუმცა ზოგად ჭრილში, მოთხოვნა ინტეგრირებულ პროგრამებზე შესწავლილი აქვთ, წარმოდგენილი იქნა სხდომის ოქმი, სადაც განხილულ იქნა პროგრამების ინტეგრირების საკითხი და ამ ოქმის თანახმად, კოლეჯს სურს ამ გზით ხელი შეუწყოს პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვას, რათა აღმოიფხვრას ჩიხი და პირებს შეეძლოთ უმაღლეს განათლებაში სწავლის გაგრძელება.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ინტეგრირებული მოდულებისთვის მასწავლებელთა კვალიფიკაციით. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ინტეგრირებული მოდულებისთვის 18 მასწავლებელი ყავს. კოლეჯი უკვე ახორციელებს 3 ინტეგრირებულ პროგრამას და მასწავლებლების უმეტეს ნაწილს უკვე აქვს განხორციელების გამოცდილება. მათ გავლილი აქვთ ტრენინგები მასწავლებელთა სახლში და მათ ამავედროულად ანალოგიური მიმართულების საგნების სწავლების გამოცდილება აქვთ ზოგად განათლებაში. ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია 4 კაბინეტი, თითოეული 20 სამუშაო ადგილით. საწარმოო პრაქტიკას პროგრამა არ მოიცავს და სავსებით შესაძლებელია ადგილზე სწავლის შედეგების მიღწევა, თუმცა ამავედროულად გაფორმებულია ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის 5 ობიექტთან, რომლებიც საერთო ჯამში 44 პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფენ. კოლეჯის გარემო აღჭურვილია პროგრამისთვის შესაბამისი კომპიუტერებით, cisco-ს აპარატურით და სხვა ტექნიკით. საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

აღნიშნა, რომ მცირე საათობრივი დატვირთვა აქვს ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილ კაბინეტებს, ამდენად რამდენიმე პროგრამისთვის ერთდროულად დატვირთვა სრულიად გამტარუნარიანია. აქვე აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ზოგადი მოდულების განსახორციელებლად 5 პროფესიული მასწავლებელი, ასევე დარგობრივი მოდულებისთვის პროფესიული განათლების 4 მასწავლებელი.

დაწესებულებაში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ბოლო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტის შემუშავების შესახებ. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდია.

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაცია ასახულია სასწავლო გეგმაში.

პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ასევე cisco-ს აკადემიის ინსტრუქტორია.

იაზონ დანელიამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები არიან cisco-ს აკადემიის ინსტრუქტორები, შესაბამისად აქვთ კომპეტენცია პროფესიულ სტუდენტებს გადასცენ დარგის სიახლეები. მასწავლებლების რაოდენობა არ გაზრდილა ამ წარმოების ფარგლებში დარგობრივ მოდულებზე. დაწესებულების აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი კიდევ დამატებულია და სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი.

შორენა ჯაფარიძემ სიტყვა გადასცა კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულ პირებს. აღნიშნა, რომ მე-4 ინტეგრირებული პროგრამა იქნება ეს კოლეჯისთვის, რამდენადაც ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილი ლაბორატორია გამტარუნარიანია, კოლეჯი კიდევ გეგმავს მეოთხე დონის პროგრამის დამატებას.

მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია, რომ ექსპერტმა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილება გამოკვეთა პრეზენტაციაში. აღნიშნულს დაეთანხმა შორენა ჯაფარიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 1**).

2. შპს ორიენტირისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ

ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და ქეთევან ღვანიძემ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულება ითხოვს 40 პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

დაწესებულება ახორციელებდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც მაღალი მოთხოვნა ფიქსირდებოდა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი იყო. კოლეჯმა წარმოადგინა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით მოთხოვნადია აღმზრდელის პროგრამა.

პროგრამა არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს, პროგრამის სახელწოდება ჩარჩო დოკუმენტის იდენტურია. პროგრამა ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს.

პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A და ერთი B გარემო, თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ააიპ № 43 და ააიპ №46 სახელმწიფო საბავშვო ბაგა-ბაღებთან და ასევე კერძო ბაღთან „შპს ნევერლენდი“.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 განმახორციელებელი პირი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მასთან გასაუბრებითაც. პროგრამა ფინანსურად მდგრადია საპროგნოზო ბიუჯეტის შესწავლის მიხედვით.

ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

დარგის ექსპერტმა, ქეთევან ღვანიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი 2016 წლიდან ახორციელებდა მსგავს პროგრამას, კოლეჯს ჰყავს 37 კურსდამთავრებული 2020 წლის ჩართვლით, რომლებმაც ბაგა- ბაღების გაერთიანების შესარჩევი კონკურსი წარმატებით გაიარეს და დასაქმდნენ. რესურსებთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. დაადასტურა, რომ მოთხოვნადი პროფესია და ეთანხმება 40 პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს ორიენტირს (ს/კ:200011904) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2)**.

3. შპს ორიენტირისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და გიორგი ბერიამ.

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოპოვებული ადგილების რაოდენობა - 84 პროფესიული სტუდენტი; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა - 42; ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა - 126 პროფესიული სტუდენტი, რომელსაც ეთანხმებიან ექსპერტები.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი 3 A სასწავლო გარემო და ერთი სასწავლო AC (მოდულებისთვის „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) რომელშიც 21 ადგილია გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ აქამდე პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 2 A აუდიტორია და ეხლა დაემატა მესამე აუდიტორია. პროგრამისთვის ასევე გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემოში 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის 21 კომპიუტერით. ამრიგად, დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, თავის მატერიალური

აღჭურვილობით, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა გატარებას, მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული და ზოგ შემთხვევაში განახლებულიც აქვს სამედიცინო დაწესებულებებთან შესაბამისი ხელშეკრულებები. ორგანიზაციასთან - სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ხელშეკრულება განახლებულია 21.01.2021 წელს, ორივე მხარე თანხმდებიან, რომ კორპორაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უზრუნველყოფს ჯამურად 126 პროფესიული სტუდენტის მიღებას. არ შეცვლილა ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციასთან - ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა - 60 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულებისთვის - 12 პროფესიული მასწავლებელი და დარგობრივი მოდულებისთვის - 48 პროფესიული მასწავლებელი). საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების კოლეჯში მოქმედ სხვა პროგრამებში ჩართულობის ინფორმაციის გადამოწმებამ აჩვენა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის ნორმას.

საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

გაიცა განმავითარებელი 1 რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ დამატებით უზრუნველყოს კლინიკური და შემაჯამებელი მოდულების „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ გასავლელად სხვა პროფილურ სამედიცინო დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმება.

დარგის ექსპერტმა გიორგი ბერიამ წარმოადგინა, თავისი მოსაზრება. შენიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. უფრო მეტიც, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია ნამდვილად წარმოადგენს კოლეჯ „ორიენტირის“ ძლიერ მხარეს რადგან მას დაკონტრაქტებული ყავს სს. ევექსის ჰოსპიტლების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მედლა-ტრენერების ფართო სპექტრი სხვადასხვა კლინიკურ და თეორიულ მიმართულებებში.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კორპორაცია ევექსის შემადგენლობაში შემავალ, კონტრაქტორ ორგანიზაციასთან მოხდა გასაუბრება. კერძოდ, პრაქტიკის ობიექტს წარმოადგენდა ბოკერიას სახელობის ჰოსპიტალი, რომლის თანამშრომლები და მენეჯმენტი აქტიურად იყო ჩართული გასაუბრებაში. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქიატრიის“ მოდული ხორციელდება მხოლოდ ამ კლინიკის ფსიქიატრიულ განყოფილებაში. ექსპერტმა შენიშნა, რომ კოლეჯის დამატებითი გეგმით ეს განყოფილება მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით გამტარუნარიანია, გათვალისწინებულია ორკვირიანი პრაქტიკა, თუმცა დეპარტამენტი დიდი არ არის, არ აქვს დიდი დატვირთვა და ემსახურება არა მარტო ამ კოლეჯს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია პრაქტიკის გავლა, ექსპერტებმა პროგრამის მდგრადობის მიზნით გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია შესაბამისი პროფილის კლინიკასთან დაიდოს დამატებითი ხელშეკრულება.

შორენა ჯაფარიძემ სიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას, უკვე დაიწყო მოლაპარაკება მე-5 კლინიკურ საავადმყოფოსთან და სავარაუდოდ მომდევნო კვირაში უკვე გაფორმდება ორგანიზაციასთან ხელშეკრულება, ასევე, უკვე მოძიებულია კონკრეტული პირები, ვისთანაც გაფორმდება ხელშეკრულებები და ჩაერთვებიან კლინიკურ სწავლებაში.

ქრისტინა რზგოვეა დაინტერესდა პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები თუ ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ პირობებს.

დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია კორპორაცია ევექსთან, რომელშიც შედის საქართველოს საწოლფონდის დიდი ნაწილი. თბილისში წარმოდგენილია 6 დიდი ჰოსპიტალი, რომელიც ფარავს ყველა მიმართულებას, არის მულტიფუნქციური. მხოლოდ ერთ კლინიკაშია ფსიქიატრიული განყოფილება და ამიტომ გაიცა ზემოთგანხილული რეკომენდაცია. აქცენტები ხელშეკრულებაში გაკეთებულია ყველა იმ საკითხზე რასაც ადგენს ჩარჩო დოკუმენტი. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება როგორც გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით. აქვე შენიშნა, რომ ევექსის მოწინავე კადრები ჰყავს კოლეჯს ჩართული, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: შპს ორიენტირს (ს/კ:200011904) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 126-ით **(დანართი 3)**.

4. შპს ორიენტირისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და თამთა კვინიკაძემ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

აღნიშნა, რომ დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს უშუალოდ ამ პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა, დაფიქსირებული ზოგადი რეკომენდაციების შესრულება გადამოწმდა და ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა რეკომენდაციების შესრულება.

პროგრამაზე საბჭოს მიერ განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. ამჯერად კოლეჯს სურს 20-ვე განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

აღნიშნა, რომ არც ხარვეზი და არც შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

შპს ორიენტირის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების შესახებ „რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ეფუძნება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - საბაზო ზოგადი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ღონისძიების ორგანიზება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი, როგორც პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის ასევე ინტეგრირებული მოდულებისათვის. დაწესებულებას პროგრამისათვის განკუთვნილი აქვს AC გარემო სადაც ჩატარდება, როგორც პროფესიული მოდულები ასევე ინტეგრირებული მოდულები, ასევე B გარემო და C გარემო დაწესებულების ნულოვანი სართულის დარბაზი. დაწესებულებას ასევე ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „მოზაიკა პლიუსი“, სს „გუდვილი“, ა(ა)იპ „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია“, ხელშეკრულებებში გაწერილია მათ ბაზაზე განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. მოხდა ორ მათგანთან გასაუბრება და ისინი თანხმობას გამოხატავენ კოლეჯთან თანამშრომლობაზე.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, რომელი მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორ ორგანიზაცია ა(ა)იპ „საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში“. აქვე აღნიშნა, რომ ამ მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა ასევე შეიძლება შპს „მოზაიკა პლიუსში“.

დარგის ექსპერტმა განუმარტა, რომ აღნიშნული პრაქტიკის ობიექტი ჩართულია მოდულის „პრაქტიკული პროექტი - სპორტული და სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“ განხორციელებაში.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ღონისძიების ორგანიზება“ აყვანილი ყავს პროფესიული მასწავლებლები, როგორც ზოგადი ასევე, პროფესიული და ინტეგრირებული მოდულებისათვის, მათი კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ამ მიზნისთვის გაფორმებულია ხელშეკრულებები პროფესიული განათლების

მასწავლებლებთან. დაწესებულებას სულ პროგრამისათვის აყვანილი ყავს 22 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საბჭოს წარმოდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესაბამისი მასალები.

დარგის ექსპერტმა, თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯის ძლიერი მხარეა პროგრამაში ჩართული კვალიფიციური პირები, პროგრამის ხელმძღვანელი თვითონ იყო ჩართული ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაში, ამდენად სიღრმისეულად იცნობს პროგრამას. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პირების უმეტესი ნაწილი უკვე გადამზადებული არიან და ვინც არ არის გადამზადებული გაეროს პროექტის ფარგლებში გადამზადდება, ნაწილი მათგანი სხვა დაწესებულებებში ახორციელებს მოდულებს და ამდენად უკვე აქვთ გამოცდილება.

თავმჯდომარე დაინტერესდა ინტეგრირებული მოდულების გარემო არის თუ არა სრულყოფილად მოწყობილი.

ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ერთ სივრცეშია მოწყობილი A/C გარემო, როგორც დარგობრივი მოდულებისთვის, ასევე ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის. საბჭო დაინტერესდა ხელისშემშლელი გარემოება ხომ არ იქნება ეს პროგრამის განხორციელების პროცესში.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ ხელისშემშლელი არ იქნება, რადგან მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელება იგეგმება ინტეგრირებულად და კოლეჯმა პირიქით კომფორტულად მიიჩნია ერთ სივრცეში ყველა მოდულის მიღწევა. ექსპერტებმა ზეპირსიტყვიერად მისცეს რეკომენდაცია, გაიმიჯნოს სივრცე ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიისთვის, რისი შესაძლებლობაც კოლეჯს აქვს არსებული ფართის გათვალისწინებით.

ქრისტინა რზგოევამ განმარტება სთხოვა ექსპერტებს დასკვნაში არსებულ ჩანაწერზე ინტეგრირებული მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიის გამწოვი კარადის და სველი წერტილის თაობაზე.

ნანა შარაბიძემ აღნიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულებისათვის განკუთვნილ ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფენ გამწოვი კარადის შექმნას. ექსპერტები ზეპირსიტყვიერი რეკომენდაციით შემოიფარგლენ. ცენტრის რეკომენდაცია ექსპერტებმა ამ საკითხზე მოგვიანებით მიიღეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ შესაბამის აღჭურვილობის ჩამონათვალში გამწოვი კარადა არ იყო, ამდენად, ხარვეზის საფუძველი არ არის. თუმცა სამსახურის მიერ ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა აღნიშნული კარადის საჭიროება და აღნიშნულის თაობაზე ცენტრმა მიმართა განათლების სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს. სამსახურმა პასუხად მიიღო წერილი, რომ რეკომენდირებულია იყოს გამწოვი კარადა ამ მოდულის განხორციელებისთვის. აღჭურვილობის ჩამონათვალში არ შესულა ცვლილება, თუმცა ყველა კოლეჯს ეცნობა ეს ინფორმაცია, რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყონ შესაბამის გარემოში აღნიშნული კარადის დამონტაჟება. ამდენად, ექსპერტებს მიეცათ რეკომენდაცია, დასკვნებში აღნიშნულთან დაკავშირებით ამ ეტაპზე შემოიფარგლონ განმავითარებელი ხასიათის რეკომენდაციით.

კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთ გარემოში ყველა მოდულის განხორციელება სპეციალურად გაითვალისწინეს, მსმენელთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, უფრო კომფორტულად მიიჩნიეს ერთ გარემოში მოდულების წარმართვა. თუ სასწავლო პროცესში რაიმე ხარვეზი გამოვლინდება, კოლეჯი გამოყოფს დამატებით აუდიტორიას, შესაბამისად

ინტეგრირებული მოდულები და პროფესიული მოდულები სხვადასხვა აუდიტორიებში განხორციელდება. ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსვე სველი წერტილი უკვე მოწყობილი იყო, რაც შეეხება კარადას, უკვე შესყიდვის პროცესშია და უახლოეს დღეებში იქნება ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს ორიენტირს (ს/კ:200011904) მიენიჭოს უფლება განხორციელოს დანართით განსაზღვრული „ღონისძიების ორგანიზების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 4).

5. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ვახტანგ ბოგველიშვილმა და ვალერი ჯაჯანიძემ.

მონიტორინგის თაობაზე საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N367322 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელდა 2021 წლის 26 აპრილს.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა მონიტორინგის განრიგი. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის

ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ ხელმძღვანელებსა და მოდულების განმახორციელებელ პირებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დისტანციურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა მოსაზრებით, ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 2.2 კომპონენტი უკვე არის „სრულად შესაბამისი“. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ამჟამად არის „სრულ შესამასობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა შენიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ყველა შესრულებულია ერთის გარდა, რომელთან დაკავშირებითაც, კოლეჯს აქვს არგუმენტი.

2.2.1.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელთანაც ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით როტაციის პრინციპის გათვალისწინებით. წინა ვიზიტის ექსპერტთა შემადგენლობის მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა პროგრამის განხორციელების მდგრადობის გათვალისწინებით არაა რელევანტური, ექსპერტების მიერ კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის ვადა განისაზღვროს მინიმუმ პროგრამის ავტორიზაციის ვადით ან უვადოდ, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით. დაწესებულებას გააჩნია მყარი, არგუმენტებული პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და არ იზიარებს ზემოთხსენებულ რეკომენდაციას. მათი განმარტებით, როტაციის პრინციპი აპრობირებული და მხარდაჭერილია არაერთი ორგანიზაციის მიერ და ეს პროგრამის განხორციელების მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. პირიქით, დაწესებულების წარმომადგენლობა თვლის, რომ ხსენებული მიდგომა კონკურენტუნარიანი გარემოსა და, შესაბამისად, მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობია. ეს არგუმენტები წინა საბჭოს სხდომაზე გაჟღერდა კოლეჯის დირექტორის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად დამაჯერებელია დაწესებულების არგუმენტაცია ამ ექსპერტთა ჯგუფისთვის. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის დამაჯერებელია და გარკვეულწილად ეთანხმება კოლეჯის პოზიციას, ხოლო დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია ხელმძღვანელის დანიშვნა ავტორიზაციის ვადით, რომ პირმა შეძლოს საკუთარი შესძლებლობების გამოვლენა და ჰქონდეს მოტივაცია.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე გასულ წელს საკითხის განხილვისას საბჭოს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრებები არამარტო მისი და ექსპერტების, არამედ საბჭოს წევრების, თავმჯდომარის, რომელიც გამოცდილი HR-ია, ასევე, ნანი დალაქიშვილის პოზიციები და ასახულია საბჭოს სხდომის შესაბამის ოქმებში. აღნიშნა, რომ ხელშეკრულება შესაძლებელია გახანგრძლივდეს 2 წლამდე. ერთი წლის თავზე ხელმძღვანელის ანგარიშგების, წარმატების თუ წარუმატებლობის საფუძველზე შეიძლება გახანგრძლივდეს ვადა 2 წლამდე.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი მუდამ მოწინავეა ექსპერიმენტებში, პროგრამის ხელმძღვანელთა როტაციის ეს საკითხი პირადად მისთვის განსხვავებულია და ამავდროულად საინტერესო, თუ რა შედეგი ექნება.

ქრისტინა რზგოვეა დაინტერესდა პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ერთგვარი წინასწარი გრაფიკი ხომ არ არის ნაგულისხმევი, ვინ იქნება ხელმძღვანელად მოაზრებული

პროგრამის ავტორიზაციის ვადაში, ხომ არ არის მათთან წინასწარი ხელშეკრულებები გაფორმებული. დირექტორმა აღნიშნა, რომ წინასწარ არ არის დადგენილი, ვინ განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ :

2.2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ორპორტიანი ამწის არსებობა კოლეჯის საკუთრებაში ან პარტნიორი ორგანიზაციის ბალანსზე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დაასრულა ახალი სახელოსნოს მშენებლობა, რომელიც მდებარეობს კოლეჯის ეზოში. შედეგად, კოლეჯის განკარგულებაშია მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე აპარატურითა და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვილი სივრცე - სახელოსნო, რომელიც გამოყენებულ იქნება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სახელოსნოში ყველა პირობაა შექმნილი თეორიული თუ პრაქტიკული სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის: მოწყობილია სახელდახელო სივრცე თეორიული მეცადინეობისთვის, შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის და დაცულია შრომისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება.

საბჭოს წარმოდგინა შესაბამისი ფოტომასალა, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო კოლეჯის საკუთრებაში არსებული - ორპორტიანი ამწე. შენიშნა, რომ კოლეჯის ბაზაზე არსებული ახალი სახელოსნო, გარდა უახლესი, მაღალტექნოლოგიური აპარატურისა, გამოირჩევა ვიზუალური ნიშნითაც - სახელოსნოს კედლები გამჭვირვალე მასალისაა და შენობის შიგნით მიმდინარე პროცესები თვალსაჩინოა გარეშე პირთათვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების პოპულარიზაციას და ექსპერტთა მოსაზრებით, დაინტერესებული პირების მოზიდვის კარგი საშუალება უნდა იყოს.

ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯის ახალ სახელოსნოში არის ყველა ის მოწყობილობა და აღჭურვილობა, რაც ამ პროგრამების ფარგლებში სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას უზრუნველყოფს. კოლეჯს ჰყავს კვალიფიციური კადრები და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სასწავლო გარემოა კოლეჯში მოწყობილი.

თავმჯდომარე დაინტერესდა ამ სახელოსნოს მხოლოდ სასწავლო დანიშნულება ექნება, თუ შესაძლებელია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, სწავლასთან ერთად დასაქმდნენ და ანაზღაურება მიიღონ პროფესიულმა სტუდენტებმა, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ კოლეჯი ამ მიმართულების სხვადასხვა დასახელების აგნობრივ პროგრამებს ახორციელებდა. კოლეჯს აქვს ძვირადღირებული აღჭურვილობა, სიმულაციური აპარატურა, რომლის ანალოგი საქართველოში ძნელად მოიძებნება. აქვე აღნიშნა, რომ ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, კოლეჯმა შეძლო შეექმნა ქართულენოვანი 3 წიგნი, სასწავლო ლიტერატურა, რაც მეტად პრობლემას წარმოადგენს ამ დარგში. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯი სახელოსნოში გეგმავს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასაც, ასევე ამ მიმართულებით აპირებენ მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (ს/კ: 200279448) „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ (ს/კ: 200279448) „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ელექტროობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და დავით კუპატაძემ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №280380 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. 13 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის

ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების (მათ შორის ინტეგრირებულის) განმახორციელებლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება .

დაწესებულებაში ექსპერტთა წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12-14 ივნისს, რომლის დროსაც მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ დამატება. აღნიშნული ვიზიტს დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

კოლეჯი „ელექტრობის“ პროგრამისთვის ითხოვს არსებული 60 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობიდან 30 განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ განხორციელებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსები (ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდულები. „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. შესაბამისად, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B და C გარემო, რომელიც განაწილებულია ცენტრალური შენობის აუდიტორიასა - B გარემო - №406 აუდიტორიაში 15 კომპიუტერი და კოლეჯის „დ“ კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულ ელექტრობის ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია 15 კომპიუტერით, ასევე ყველა იმ მატერიალური აღჭურვილობით, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით. გასაუბრების დროს დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებით შესასყიდი მატერიალური რესურსების ნუსხა და აღნიშნა, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსები გაამდიდრებს პროგრამას. ამჟამად დამატებითი რესურსის შესყიდვაზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს მომავალში მოხდება შესყიდვა.

კოლეჯს გააჩნია ინტეგრირებული მოდულების სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსით აღჭურვილი ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის აუდიტორიები. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება შესაბამის აღჭურვილობის მქონე სივრცეებში, რომელსაც დაწესებულება უკვე იყენებს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით“ პროგრამისათვის, სწავლება აღნიშნულ სივრცეში განხორციელდება ორ ცვლაში.

„ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია აგრეთვე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ის რესურსები, რასაც ფლობენ კოლეჯის

პარტნიორი ორგანიზაციები. პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები კომპანიებთან, რომლებიც გამოთქვამენ მზაობას კონკრეტული რაოდენობის სტუდენტების მიღების შესახებ. ექსპერტები გაესაუბრნენ შპს „ელიტაბურჯის“ წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმო უზრუნველყოფს 15-20 სტუდენტის მიღებას ერთ მიღებაზე.

დარგის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ „ელექტრობის“ პროგრამისთვის განსაზღვრულია ინტეგრირებული მოდულების 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას.

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გაესაუბრა ინტეგრირებული მოდულების სერტიფიცირებულ განმახორციელებლებს, რომლებიც კონკურსის წესით იქნენ შერჩეულნი კოლეჯში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს არა მხოლოდ სრული ტრენინგ-კურსი აქვთ გავლილი, არამედ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების გამოცდილება უკვე აქვთ სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე 2 ხელმძღვანელი.

დაწესებულებას სტანდარტი შეფასებული ჰქონდა სრული შესაბამისობით, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ დიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა პროცესში მონაწილე ყველა მხარეს. აღნიშნა, რომ კოლეჯი მუდამ ზრუნავს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამჯერადაც, მართალია, არსებული მატერიალური რესურსები სწავლის შედეგების მისაღწევად საკმარისი იყო, თუმცა გაუმჯობესების მიზნით გამოცხადდა მატერიალური რესურსების შესყიდვის ტენდერი, რომლის გამარჯვებული გამოვლენილია და უახლოეს პერიოდში განაახლებენ და გამრავალფეროვნებენ არსებულ აღჭურვილობას, რომლის მიხედვით დამატებითი 3 აუდიტორია აღიჭურვება ინტეგრირებული მოდულებისთვის. ასევე ისაუბრა ინტეგრირებული პროგრამების მნიშვნელოვნებაზე განათლების სივრცეში, მადლობა გადაუხადა ამ საკითხის ინიციატორებს და აღნიშნა, რომ კოლეჯი კიდევ აპირებს ინტეგრირებული პროგრამების დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ „ელექტრობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წიააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ:208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტროობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 5)

7. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ და დავით კუპატაძემ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №280379 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ჰაერის კონდიციონერება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

13 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების (მათ შორის ინტეგრირებულის) განმახორციელებლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება.

დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12-14 ივნისს, რომლის დროსაც მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ჰაერის კონდიციონერება“ დამატება. აღნიშნული ვიზიტს დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

კოლეჯი „ჰაერის კონდიციონირების“ პროგრამისთვის ითხოვს, არსებული 60 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობიდან 30 განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ჰაერის კონდიციონირება“ განხორციელებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსები (ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდულები. „ჰაერის კონდიციონირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „ჰაერის კონდიციონირების“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B და C გარემო, რომელიც სრულადაა აღჭურვილი იმ მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. გასაუბრების დროს დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებით შესასყიდი მატერიალური რესურსების ნუსხა და აღნიშნა, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსები გაამდიდრებს პროგრამას. ამჟამად დამატებითი რესურსის შესყიდვაზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს მომავალში მოხდება შესყიდვა.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება შესაბამის აღჭურვილობის მქონე სივრცეებში, რომელსაც დაწესებულება უკვე იყენებს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით“ პროგრამისათვის, სწავლება აღნიშნულ სივრცეში განხორციელდება ორ ცვლაში.

„ჰაერის კონდიციონირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია აგრეთვე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ის რესურსები, რასაც ფლობენ კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები. ექსპერტები გაესაუბრნენ შპს „ბეკოს“ სერვისცენტრის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმო უზრუნველყოფს 3 სტუდენტის მიღებას ერთ მიღებაზე, კვირაში სამჯერ.

„ჰაერის კონდიციონირების“ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (როგორც ზოგად და პროფესიულ, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებულ მოდულებზე და მათი საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტაციის გადამოწმებისა და განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას.

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გაესაუბრა ინტეგრირებული მოდულების სერთიფიცირებულ განმახორციელებლებს, რომლებიც კონკურსის წესით იქნენ შერჩეულნი კოლეჯში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს არამხოლოდ სრული ტრენინგ - კურსი აქვთ გავლილი, არამედ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების გამოცდილება უკვე აქვთ სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წიააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ:208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ჰაერის კონდიციონერების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 6).

8. სსიპ კოლეჯ „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის შესახებ საკითხი წარმოადგინეს ნანა შარაბიძემ. დარგის ექსპერტი მუხრან გაფრინდაშვილი საბჭოს სხდომაზე არ იმყოფებოდა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №280378 ბრძანების) საფუძველზე შეიქმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

13 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების (მათ შორის ინტეგრირებულის) განმახორციელებლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება

დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12-14 ივნისს, რომლის დროსაც მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ დამატება. აღნიშნული ვიზიტს დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ექსპერტთა მიერ სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით. ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში.

კოლეჯი „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ პროგრამისთვის ითხოვს, არსებული 45 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობიდან 30 განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

პროგრამით განსაზღვრული რესურსები (ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო (ინტეგრირებულ) პროგრამაში „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული „ხატისა და ფრესკის შესრულება“, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „სახვითი ხელოვნება“ ითვალისწინებს და შესაბამისად აღნიშნული მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ სახელწოდება იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A/B, A/C, A/B /C გარემოები, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე კომპიუტერებით და ასევე ყველა იმ მატერიალური აღჭურვილობით, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით. გასაუბრების დროს დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებით შესასყიდი მატერიალური რესურსების ნუსხა და აღნიშნა, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსები გაამდიდრებს პროგრამას. ამჟამად დამატებითი რესურსის შესყიდვაზე ტენდერია გამოცხადებული და უახლოეს მომავალში მოხდება შესყიდვა.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება შესაბამის აღჭურვილობის მქონე

სივრცეებში, რომელსაც დაწესებულება უკვე იყენებს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით“ პროგრამისათვის, სწავლება აღნიშნულ სივრცეში განხორციელდება ორ ცვლაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - 21 პროფესიული მასწავლებელი (როგორც ზოგად და პროფესიულ, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებულ მოდულებზე) და მათი საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაესაუბრა ინტეგრირებული მოდულების სერთიფიცირებულ განმახორციელებლებს, რომლებიც კონკურსის წესით იქნენ შერჩეულნი კოლეჯში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს არა მხოლოდ სრული ტრენინგკურსი აქვთ გავლილი, არამედ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების გამოცდილება უკვე აქვთ სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ (ს/კ:208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 7).

9. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანა დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით და მოახსენა საბჭოს, რომ როგორც საბჭოსთვის ცნობილია, 2016 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ინერგება ე.წ.

დუალური პროგრამები, რომელთა პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების 50%-ზე მეტის მიღწევა ხორციელდება პარტნიორ კომპანიაში/სასწავლო საწარმოში. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში 2020 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებების შემდეგ სავალდებულო გახდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამაზე ადგილების რაოდენობის განაწილება განხორციელების ადგილის და განხორციელების ფორმის მიხედვით. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოების“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 8).

10. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, სსიპ - კოლეჯ „აისის“ „მევენახეობა-მეღვინეობის“ მოდულური და დუალური ფორმით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების განაწილებას. სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი წარმოდგენილ გადანაწილებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან თანხმობა მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 9**).

საბჭოს სხდომას 11:00 საათიდან შემოუერთდა ნატალია კვაჭანტირაძე

11. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესაფასებლად (არაგეგმიური მონიტორინგი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების

მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 4.1, 4.2, 5.1, 5.2 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-4 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, ხოლო მე-5 სტანდარტი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს (5.1 კომპონენტი არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით).

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზი მე-5 სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №1977 განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა (სახელოსნოები, სასწავლო აუდიტორია) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვრა გადაცემული ქონების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება სარგებლობის პერიოდის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 29 აგვისტოს, 6 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, არ არის უზრუნველყოფილი ავტორიზაციის ვადით შენობა-ნაგებობით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის. ამასთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა წერილით, რათა ეცნობებინა მოცემული გარემოების შესახებ. თუმცა, სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, უცნობია. დაწესებულების წარმომადგენლებმა მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ზემოთხსენებული წერილი.

დაწესებულებამ, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან გაცნობის შემდეგ, გაიარა კონსულტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით დამატებით გაიგზავნა წერილი (№480519) აღნიშნულთან დაკავშირებით, სადაც დაწესებულება საქმის კურსში აყენებდა სამინისტროს ექსპერტთა დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზთან დაკავშირებით და ითხოვდა რეკომენდაციას. თუმცა სამინისტროს პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაცემული იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, კერძოდ:

5.1.1.3 დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 და არა სოფ. ხიდისთავი. ექსპერტებმა აღნიშნული დააფიქსირეს ხარვეზად. თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად დაწესებულებას გაწერილი აქვს ხელშეკრულებების გადახედვა და ხიდისთავის ლოკაციასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაკეთება. აქვე მითითებულია აქტივობების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ოქტომბერი), სწავლის დაწყებამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, გეგმაში განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით.

5.1.1.4 სოფელ ხიდისთავში მდებარე დაწესებულების შენობა-ნაგებობაში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, არის ორი სახელოსნო და ერთი A ტიპის გარემო (აუდიტორია), რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სოფელ ხიდისთავში მდებარე

სახელოსნოების და აუდიტორიის უზრუნველყოფა ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოლეჯმა უკვე გააფორმა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობილობების შესყიდვის ხელშეკრულება (№26 25.05.2021), რაც ასევე ასახულია გაუმჯობესების გეგმაში. აქვე მითითებულია სამუშაოს დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (მაისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1.8 სანიტარული კვანძები (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) განლაგებულია დაწესებულების გარე პერიმეტრზე, შენობიდან დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის მოშორებით. ექსპერტებმა ვერ შეძლეს აღნიშნული სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, სველი წერტილები ამ ეტაპზე მომხმარებელთათვის არაა ხელმისაწვდომი - გაუმართავ მდგომარეობაშია, საჭიროებს რემონტს და მიმდინარე პერიოდში იგეგმება მათი მოწესრიგება. დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის კორექს-პონ-დენციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სანიტარული კვანძების მოწყობა (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობაში. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (მაისი - სექტემბერი). დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში ასახა, რომ აღნიშნული სამუშაოები მათ დაწყებული აქვთ და დაასრულებენ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.1 შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მტკიცებულების სახით, ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის მიწერილობა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების მიზნით საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.2 პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას, რომლის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. №2. აქედან გამომდინარე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი სოფ. ხიდისთავში არაა განსაზღვრული. გასაუბრებისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოფელ ხიდისთავში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე იმოქმედებენ მოდულების განმახორციელებლები ან/და კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომელთა დატრენინგებას უზრუნველყოფს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ექსპერტებმა აღნიშნული დააფიქსირეს ხარვეზად. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დააზუსტა, რომ კოლეჯის რეგულაციების მიხედვით (კრიზისული სიტუაციების გეგმა), საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება შეუძლია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილზე მყოფ პროფესიული განათლების მასწავლებელს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, თუმცა, ახლო მომავალში დაწესებულება გეგმავს 33კოლეჯის თანამშრომელთა/სტუდენტთა გადამზადებას შემდეგი მიმართულებებით:

სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი; პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი - თანამშრომელთა გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, რაც გაწერილია გაუმჯობესების გეგმაში, რომელიც ასევე იქნა წარმოდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის სახით. გაუმჯობესების გეგმაში მითითებულია აღნიშნული ტრენინგების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდი (ივლისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.3 ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.2.1.1. ვიზიტისას დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არაა უკაბელო/კაბელიანი ინტერნეტი. კოლეჯის მესვეურებმა წარმოადგინეს გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია ინტერნეტ-პაკეტის შეძენის საკითხი. გეგმაში მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (სექტემბერი - სექტემბერი) და ვადა - ერთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

ექსპერტების მიერ გაიცა ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები:

4.1.1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობაში მოცემულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც დაწესებულებას ფუნქციურ უფლება-მოვალეობების დოკუმენტში აქვს გაწერილი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციისათვის, სამუშაო პირობები თუ სხვა დეტალური ინფორმაცია სამუშაო აღწერილობაში არ არის განსაზღვრული. რეკომენდებულია, სამუშაო აღწერილობაში აისახოს ზემოაღნიშნული.

4.1.2.3 დაწესებულებას გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამხმარე და ტექნიკური პერსონალისათვის, რომლებსაც, დაწესებულებაში კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად უნდა ჰქონდეთ საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. რაც შეეხება დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ამ მხრივ ძალიან ბუნდოვანი ჩანაწერია გაკეთებული. დაწესებულებას ადმინისტრაციული პოზიციის დასაკავებლად, საკვალიფიკაციო მოთხოვნად შემდეგი სახის მოთხოვნა აქვს: „შესაბამისი განათლების მქონე დოკუმენტი“. ამ ჩანაწერში არ იკვეთება, თუ რა კვალიფიკაციას მოითხოვს დაწესებულება თითოეული ადმინისტრაციული პერსონალისათვის. რეკომენდებულია, დაწესებულებამ თითოეული პოზიციისთვის გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4.2.1.5 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და მათი წახალისების მექანიზმი, სადაც შესაძლოა გაწერილი იყოს წახალისების ფორმები და სხვა. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული მექანიზმების შემუშავება.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დამაზუსტებელი შეკითხვით, გაიზიარა თუ არა დაწესებულებამ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განვითარების გეგმაში თუ არის ასახული ამ რეკომენდაციების შესრულების საკითხი, რაზეც ვახტანგ ბოგველიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას

გათვალისწინებული აქვს რეკომენდაციები სრულად და ასახული აქვს გაუმჯობესების გეგმაში, გარდა დაფიქსირებული ხარვეზებისა.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც წარმოდგენილი იყო სოფ. ხიდისთავში მიმდინარე სამუშაოების/შენობის ამსახველი ფოტოები. ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ფოტოები დაწესებულების მიერ მოწოდებული იქნა ვიზიტის განხორციელებიდან რამდენიმე დღეში (აპრილში).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტ ნია გუგუნავას, მან დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და გაუმჯობესების გეგმაში გაწერილი აქვს თუ როგორ მოახდენს ამ პროცესის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, და თხოვა განემარტათ თუ როგორი იყო ამ ეტაპზე დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა, რა ეტაპზე იყო მიმდინარე სამუშაოები, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაწერილი იყო გაუმჯობესების გეგმაში, რაზეც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ პროცესი დაწყებული იყო, და გაწერილი გაუმჯობესების გეგმის მიხედვით განხორციელდებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს ეთანხმებოდნენ

და ვინაიდან სამუშაოები უკვე დაწყებულია, სექტემბრამდე უკვე დასრულებული იქნებოდა ყველაფერი.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, დაწესებულებამ იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ აპრილში იქნებოდა მონიტორინგი, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად დაწესებულებას მონიტორინგის შესახებ მხოლოდ წინა დღეს ეცნობება. ნინი ველთაური ასევე დაინტერესდა შენობა-ნაგებობების მდგომარეობაზე, ვინაიდან სამუშაოების მხოლოდ ნახევარი არის შესრულებული, თუ რატომ იყო ტემპი ასეთი შენელებული, და ასევე იკითხა, თუ რა იყო მიზეზი შენობის გადმოცემის ნაწილში გაჭიანურების. აქვე სხდომის თავმჯდომარემ თხოვა დაეზუსტებინა დაწესებულებას, თუ ჰქონდათ სამინისტროს წერილთან დაკავშირებით პასუხი, რაზეც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ უკვე არის თანხმობა ამ საკითხთან დაკავშირებით, მტკიცებულებად შეუძლია დაწესებულებას წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ შენობის გადმოცემის საკითხი უნდა მოგვარებულიყო 2018 წელს, ავტორიზაციის მინიჭებამდე, თუმცა მოგვიანებით გადმოეცა დაწესებულებას, ასევე კოვიდ ინფექციამ გარკვეული როლი ითამაშა ამ პროცესზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ყურადსაღებია და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, ვინაიდან დაწესებულებას ეს შენობა გადმოეცა 3 წლის ვადით, სამი წელი სექტემბერში სრულდება, და კიდევ 2 წელიწადი ექნება ეს შენობა დაწესებულებას, მან მიმართა ექსპერტებს დაედასტურებინათ, აქვე მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს პერიოდი არ არის თანხვედრაში ავტორიზაციის ვადასთან, ეს თავისთავად არის ხელისშემშლელი ფაქტორი პროგრამების შემდგომი განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ გასულიყვნენ სათათბიროდ.

სხდომის თავმჯდომარემ შეაჯამა წარმოდგენილი საკითხი, მან აღნიშნა, რომ ნანი დალაქიშვილისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს დეპარტამენტის თანამშრომელთან კომუნიკაციით გაირკვა, რომ საქმის კურსში არიან ამ პრობლემის თაობაზე, არის შუამდგომლობა ქონების მართვის სააგენტოსთან, თუმცა ჯერ არ არის უკუკავშირი, ეს ვითარება დაადასტურა ნანი დალაქიშვილმა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, დასძინა ხომ არ უქმნიდა ეს ფაქტორი პროგრამების განხორციელებას საფრთხეს, ხოლო საბჭოსთან შეჯერების შემდეგ დაადგინეს, რომ მე-5 სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტთან მიმართებაში უნდა დაინიშნოს მონიტორინგი, და თხოვა დაწესებულებას დაესახელებინა მონიტორინგის თარიღი, დაწესებულებამ მონიტორინგის თარიღად დაასახელა 30 ნოემბერი, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ მონიტორინგის საკითხი პროგრამის დამატების საკითხთან ერთად იქნებოდა განხილული.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადში“ (ს/კ: 217890192) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

12. ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნაზო წიბლიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. მან თავის პრეზენტაციაში აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“, კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორი, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი, დადასტურების წყარო და რისკები. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა. დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაცია, კერძოდ: **ინდიკატორი 2.2.1.(1)** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება.

განვითარების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.(3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. რეკომენდირებულია, მოდულის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციაში.

ინდიკატორი 2.4.1.(6) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია C გარემოში დაზგებთან გამოაკრას მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები. ასევე მიეცა რეკომენდაცია საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან.

ასევე პრეზენტაციაში წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ პროგრამის განხორციელებას გეგმავდა ქ. გორში და სოფ. ხიდისთავში, ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას განაცხადით მოთხოვნილი ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 24, და აქვე დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებდა 24 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

სხდომის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ვინაიდან დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, და ამ წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე მოხდა სტანდარტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასება, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტი გეგმაში ასახულ ინფორმაციას, აქტივობებს, ვადებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ იზიარებდა გეგმას. მან ასევე აღნიშნა, რომ გაუმჯობესების გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სექტემბერში ეს საკითხი მოგვარებული ექნებოდა, თუმცა, სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან 5.1 და 5.2 კომპონენტის ფარგლებშიც უნდა დაემატოს მონიტორინგი, ამიტომ მონიტორინგის თარიღი გადაიწეოდა ნოემბრის ბოლოსკენ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 30 ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადის“ (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 10)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, 5.1 და 5.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 30 ნოემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ვინაიდან საბჭოს წევრი დეა აბულაძე 13:23 საათზე გავიდა სხდომიდან, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

13. ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადისთვის“ „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ნაზო წიბლიაშვილმა და ირმა ღარიბაშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „მედიკალი“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1), 2.2.1(2) და 2.2.1(3) კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის მიხედვით იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი კომპონენტები, განსაზღვრულია კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, სავარაუდო დაწყება-დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, სხვა ჩართული პირები, შესრულების ინდიკატორი, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა, ტენდერით შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი, დადასტურების წყარო და რისკები. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული გასაუმჯობესების საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეაფასა და აღწერა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, დასძინა, რომ რეკომენდაციების მეტი წილი გათვალისწინებულია.

მან ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. დაწესებულებას მიეცა რამდენიმე შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაციები, კერძოდ: შესაბამისობის რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.2.1.(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს „შედეგების“ (როგორც არაინტეგრირებული, ისე ინტეგრირებული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება.

განვითარების რეკომენდაცია:

ინდიკატორი 2.1.1.(8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდირებულია ჩარჩო დოკუმენტის და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების „ლითონების შედეგება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში“/0731007/; „შედეგება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“/0731008/; „მშრალი შედეგება“/0731009/- სტანდარტული ჩანაწერების კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში და სარეკომენდაციო ჩანაწერების თემატიკაში სასურველია ტერმინი „ოკუპაციური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩასწორდეს ტერმინით - „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“.

ინდიკატორი 2.2.1.(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რეკომენდაცია მიეცა დამატებით ისეთი ცეცხლმაქრის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ხაზებისა და ელექტრო დანადგარების წვისთვის (ნიშნით E). რეკომენდაცია მიეცა ზოგადი განათლების ინტეგრირებული პროგრამის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მოდულისთვის განკუთვნილ ლაბორატორიაში ხელსაბანის და გამწოვი კარადის მოწყობის შესახებ.

ინდიკატორი 2.2.1.(3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. რეკომენდირებულია, მოდულის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციაში.

ინდიკატორი 2.4.1.(6) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საევაკუაციო გეგმა შეათანხმოს შესაბამის სამსახურთან. ასევე C გარემოში ელ.დანადგარებთან გამოაკრას მუშაობის უსაფრთხოების წესები და პლაკატები.

ექსპერტმა პრეზენტაციაში წარმოადგინა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ პროგრამის განხორციელებას გეგმავდა ქ. გორში და სოფ. ხიდისთავში, დაწესებულებას განაცხადით მოთხოვნილი ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 48, და აქვე დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებდა 48 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ირმა ღარიბაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება იმატებს ინტეგრირებულ პროგრამას, ნაწილი აღჭურვილობისა შესაძენია, ხოლო გარკვეული აღჭურვილობა უკვე არის დაწესებულებაში. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის, აქვე დასძინა, რომ ის არჭურვილობა, რაც პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო უკვე ადგილზეა, შექმნილია.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 30 ნოემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადს“ (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 11).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 30 ნოემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

14. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ნაზო წიბლიაშვილმა, დარეჯან კვატაშიძემ და ინგა ბოჭოიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქ. ახალქალაქში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ინგა ბოჭოიძის ფუნქციებად დამატებით განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, მან აღნიშნა, რომ შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

დაწესებულებაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია 2.2.1.(1) კომპონენტის ფარგლებში

2.2.1.(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დისტანციური ჩართვისას განხორციელდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში - ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი A და B სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება, სადაც განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის და ერთი მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. A და B გარემო არაა აღჭურვილი კომპიუტერებით, პრინტერით, სადემონსტრაციო საშუალებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით, კომპონენტი შეფასებული იყო „სრული შესაბამისობით“. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (№213763; 10/03/2021) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე მიწერილი აღჭურვილობის შეძენაში დახმარებასთან დაკავშირებით და სააგენტოს პასუხი (№230083; 15/03/2021) აღჭურვილობის შესაძენად ფინანსურად უზრუნველყოფის დაპირების შესახებ, ასევე გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), სადაც კომპონენტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია კომპონენტთან შეუსაბამობა, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირი და სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული პირები, დაფინანსების წყარო და ოდენობა (დაწესებულება თუ ვერ მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტი), შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არა აქვს გამოცხადებული ტენდერი და ვერ დგინდება აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული პროცედურა მოგვარდება თუ არა 6 თვეში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40, მან დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს დარეჯან კვატაშიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ იმდენად ამომწურავი იყო პრეზენტაცია, რომ ეთანხმებოდა ჯგუფის თავმჯდომარეს და ვერაფერს დაამატებდა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება დგამს ახალ ნაბიჯს პროფესიული განათლების კუთხით ქ. ახალქალაქში, აქედან გამომდინარე ყველა რეკომენდაცია, ეს განმავითარებელი იქნება თუ სტანდარტთან შესაბამისობის, ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებისთვის.

მან დაამატა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება ქ. ახალქალაქში დაწესებულების მესამე კორპუსში, რომელიც 70 კმ. არის დაშორებული ქ. ახალციხიდან, რაც შეეხება 2.2 კომპონენტს, მან წარმოადგინა წერილი ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწერილი, აღნიშნა, რომ დასრულებულია კვლევა და უკვე მიმდინარეობს სატენდერო სამუშაოები, აქვე აღნიშნულია, რომ მატერიალურ რესურსის საკითხი ბოლომდე არ არის დასრულებული და წარმოდგენილი პროგრამებისთვის დასრულებული იქნება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განმარტება, რომ ვინაიდან დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხუთი პროგრამა, თუ ხუთივეში საუბარია 2.2 კომპონენტზე, სასურველი იქნებოდა აქვე დაზუსტებულიყო მონიტორინგის თარიღი.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ 10 დეკემბერი მისაღები იყო მონიტორინგისთვის. მან დასძინა, რომ ახალქალაქში მე-4 კორპუსი მხოლოდ პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის იქნება განკუთვნილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ახალქალაქში (**დანართი 12**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული

ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

15. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „მეზოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „მეზოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ნაზო წიბლიაშვილმა, თამარ ახალაძემ და ინგა ბოჭოიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „მეზოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ინგა ბოჭოიძის ფუნქციებად დამატებით განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, მან აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაცია, კერძოდ

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

გათვალისწინებით A გარემოში წარმოდგენილია 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის), გარემოში არაა განთავსებული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება. B გარემო არ არის სათანადოდ აღჭურვილი, არაა კომპიუტერები (პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალებები. C გარემო - წარმოდგენილია ძველი შენობის ნანგრევები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის განცხადებით უნდა მოეწყოს დახურული გრუნტი (ე.წ. სათბური). ახლანდელი მდგომარეობით არსებული შენობა ვერ იქნება გამოყენებული მცენარის ზრდა- განვითარებისათვის. დაწესებულებას არ აქვს C გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით, კომპონენტი შეფასებული იყო „სრული შესაბამისობით“. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (№213763; 10/03/2021) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე მიწერილი აღჭურვილობის შეძენაში დახმარებასთან დაკავშირებით და სააგენტოს პასუხი (№230083; 15/03/2021) აღჭურვილობის შესაძენად ფინანსურად უზრუნველყოფის დაპირების შესახებ, ასევე გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) სადაც უკვე კომპონენტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია კომპონენტთან შეუსაბამობა, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირი და სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული პირები, დაფინანსების წყარო და ოდენობა (დაწესებულება თუ ვერ მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტი), შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არა აქვს გამოცხადებული ტენდერი და ვერ დგინდება აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული პროცედურა მოგვარდება თუ არა 6 თვეში. „მეზოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

განვითარების რეკომენდაცია

2.2.1 (3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია იმისათვის, რომ დარგობრივი პროფესიული მოდულის განმახორციელებელმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება და შეფასება მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ ტრენინგები

პრეზენტაციაში ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. ექსპერტმა ასევე დააფიქსირა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40, მან დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას და აქვე დაამატა.

რაც შეეხება „მეზოსტნის“ პროფესიული პროგრამისთვის სათბურის, დახურული გრუნტის კეთილმოწყობას, ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, აღნიშნა, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვანია რეგიონისთვის, თუმცა დაამატა რომ C გარემო ჯერ არ არის მოწყობილი პრაქტიკული კომპონენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი და მოსწრებადი ამ სათბურის დროულად მომზადება, დარგის ექსპერტმა განმარტა რომ ეს შესაძლებელი იყო, აღნიშნა, რომ არის ასევე ნაკვეთი, შენობის ნანგრევები (მხოლოდ კედლებია), სადაც უნდა მოეწყოს დახურული გრუნტი, რაც ინტერვიუების დროს იქნა დათვალთქმული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი კვადრული უნდა იყოს პრაქტიკული კომპონენტისთვის ფართი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ არ არის მნიშვნელოვანი ფართის კვადრატულობა, და დაამატა, რომ შესაძლებელია განსაზღვრულ ვადებში ყველაფრის მოწესრიგება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ჯავახეთის აგრო კომპანიასთან, რომლის საქმიანობაც მრავალპროფილურია. გასაუბრება შედგა ასოციაციის წარმომადგენელთან, რომელმაც გამოთქვა სრული მზადყოფნა და მხარდაჭერა დაწესებულებასთან სათანამშრომლოდ. კომპანიას აქვს სამაცივრე მეურნეობა, ჩითილების წარმოება, კარტოფილის წარმოება, მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღაზია, ნიადაგის ლაბორატორია. მომავალში ისინი გეგმავენ ინ-ვიტრო ლაბორატორიის მოწყობას და სარგავი მასალის ქსოვილური კულტურით წარმოებას. ასოციაცია აწარმოებს ბოსტნეულ კულტურებს (სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი), კომპანია გამოთქვამს მზაობას უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა მათ ბაზაზე გაიარონ „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის, ვინაიდან სანამ თავისი C გარემო ექნება მოწყობილი დაწესებულებას კომპანია უზრუნველყოფს თავის ბაზაზე პროფესიული სტუდენტების მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას, მოხდება მთიანეთის მოსახლეობის დასაქმება და ახალგაზრდა თაობის მიგრაციის შემცირება, სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდებიან და აქტიურად ჩაერთვებიან ქალთა სქესის წარმომადგენლები, ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის შეიქმნება მდგრადი ბაზა, ფერმერები და გაერთიანებული ჯგუფები ეტაპობრივად ჩაერთვებიან პროექტის რეალიზაციაში, მოტივირებული ფერმერები სხვა ფერმერებისათვის მოაწყობენ სიახლეების დემონსტრაციულ ჩვენებას, გამოიკვეთება პრიორიტეტები, როგორც ტრადიციულ, ასევე ალტერნატიული სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, რაც ხელს შეუწყობს მთიანეთის ლანდშაფტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეზოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ახალქალაქში (დანართი 13).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

16. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა, ალექსანდრე კეკეჩაძემ და ინგა ბოჭოიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილად შესაბამისობით“.

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ:

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

განმავითარებელი რეკომენდაცია

2.1.1.1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილ დოკუმენტში - „ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს, დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, ზუსტად მიუთითოს სტუდენტთა რაოდენობა, გაითვალისწინოს კონკრეტული პროგრამის საჭიროებები და შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა.

2.2.1.3. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

წარმოდგენილი შესაბამისობის ცხრილში, ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთან მეტწილი შესაბამისობით შეფასებული იქნა სტანდარტი ზოგადად 2.2 კომპონენტის გამო, თუ მხოლოდ ინტეგრირებული მოდულებისთვის არ აქვს აღჭურვილობა დაწესებულებას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ აღჭურვილობა არ არის. ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ ეს შეფასება სხვა პროგრამების შემთხვევაშიც ვრცელდებოდა, ვინაიდან დაწესებულების ხელმძღვანელმა თავიდან უკვე განმარტა ამ საკითხთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა დაწესებულებაში, ასევე წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმიდანაც ჩანს, როდის იქნება ეს პროცესი დასრულებული, აქედან გამომდინარე მოხდა ამ სტანდარტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასება.

ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40, მათ შორის 20 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, ექსპერტმა დაადასტურა, რომ შეუძლია დაწესებულებას ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღება.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ალექსანდრე კეკენაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას აქვს ამ დარგის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გამოცდილება, ასევე ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, მიუხედავად იმისა, რომ ქ. ახალქალაქში უნდა განხორციელდეს ეს პროგრამა, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ შეუფერხებლად მოხდეს მათი ტრანსპორტირება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 14**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

17. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ინგა ბოჭოიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების

ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ:

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. “სატყეო საქმის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.1.3. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

2.4.1.5. პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. თუმცა ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი თუ პროგრამის რომელ კომპონენტზე (მათ შორის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) ვინ იღებს პასუხისმგებლობას, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ხელშეკრულებებში შესაბამისი კომპონენტების სრულად აღწერა.

პრეზენტაციაში წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40, მათ შორის 20 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, მან დაადასტურა, რომ შეუძლია დაწესებულებას ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღება.

ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ამ პროფესიული პროგრამის მნიშვნელობაზე რეგიონისთვის. როგორც მან აღნიშნა, ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (2018-2020) განმახორციელებელი ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროექტებში - ადგილობრივი რესურსების მობილიზების და ადგილობრივ ეკონომიკური, სოციალურ კულტურული და გარემოსდაცვითი განვითარების მიმართულებით - დაწესებულების როლზე, რომელსაც ისინი სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სატყეო საქმე) განხორციელებაში ხედავენ, რამდენადაც სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობაში, და აგრეთვე ადიგენის, ასპინძა-ახალქალაქის ახალციხის, ბორჯომის სატყეო მეურნეობებისათვის კვალიფიციური კადრების აღზრდა, პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისიის ყველა განაცხადი მოიცავს პროფესიულ მიმართულებებს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გულისხმობს პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას ახალქალაქში და მის შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. ახალქალაქში **(დანართი 15)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

18. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს ქ. ახალქალაქში „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა, დავით გუდაძემ და ინგა ბოჭოიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები.

ასევე წარმოედგინა იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, დაწესებულებას მიეცა რამდენი შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობის“ სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

2.2.1.1. მართალია დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „ელექტრობის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალი და შესაბამისი თანხის რაოდენობა, რაც გადაეგზავნა ინფრასტრუქტურის სააგენტოს, თუმცა გაუმჯობესების გეგმაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხა, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. კერძოდ, გაუმჯობესების გეგმაში ასახოს თანხის რაოდენობა.

2.4.1.6. „ელექტრობის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის C გარემოს მოსაწყობად მიმდინარეობს მატერიალური რესურსის შესყიდვა, შესაბამისად გარემო არ არის მოწყობილი, თუმცა შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია: უსაფრთხოების წესების გასაცნობად შეიქმნას ინსტრუქტაჟის ჟურნალი; უსაფრთხოების წესები გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე; სასწავლო გარემოში გამოიკრას უსაფრთხოების მანიშნებლები; სასწავლო კუთხისთვის მთავარი ელ. კვების სადენი მოთავსდეს დახურულ კარადაში და მიმაგრდეს ძაბვის აღმნიშვნელი ეტიკეტი (380V); დამიწდეს მთავარი კარადა; ქსელში ჩაერთოს გაჟონვის რელე.

განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.1.3. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

2.4.1.5. უნივერსიტეტს პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმი - ენერგო-პრო ჯორჯიასთან. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მემორანდუმში ნათლად გაწეროს, ვინ იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებაზე (გაცნობითი პრაქტიკის) ფარგლებში.

დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30, მათ შორის 15 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა დაადასტურა ექსპერტმა, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას შეუძლია მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 15 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.

ამის შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ამ პროგრამის განხორციელების მნიშვნელობაზე, რამდენადაც სამცხე ჯავახეთში პროფესიონალ ელექტრიკოსზე დიდი მოთხოვნაა, იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში ოპერირებს სადისტრიბუციო ენერგოკომპანია „ენერგოპრო-ჯორჯია“ მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზებით, ქსადგურებით და თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებული ენერგოკომპანიით. ასევე ფუნქციონირებს სამი ჰიდროელექტროსადგური, კერძოდ: „ფარავანი ჰესი,“ „ჩითახე ჰესი“ და „კახარეთი ჰესი“, მშენებლობის პროცესშია „მტკვარი ჰესი“. ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში არის რამოდენიმე მცირე სიმძლავრის ჰესი. ასევე, აღსანიშნავია ის, რომ ქ. ახალციხეში სოფ. ზიკილიაში არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მაღალი ძაბვის კონვერტორული სადგური „ახალციხე 500“, რომელსაც აქვს სატრანზიტო დანიშნულება, ანუ ხორციელდება ელ. ენერჯის იმპორტი და ექსპორტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონში არის ელექტრიკოსების ბევრი სამუშაო ადგილი და მაღალ კვალიფიციურ პერსონალზე მზარდი მოთხოვნა, რამაც განაპირობა დაწესებულების მხრიდან ამ პროგრამით დაინტერესება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე გააზიარა ფოტოები, სადაც ჩანდა მშენებარე მე-4 კორპუსი, რომელიც მთლიანად პროფესიულ პროგრამებს დაეთმობა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს დავით გუდაძეს, რომელმაც აღნიშნა, ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არა აქვს შექმნილი მატერიალური რესურსი, თუმცა როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, ეს ყველაფერი მოგვარდება და იმედია შემდგომ ექსპერტებს ექნება საშუალება აღჭურვილობის დათვალიერების. მან ასევე დაამატა, რომ როგორც რეკომენდაციებში აისახა, დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ახალქალაქში „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ახალქალაქში (დანართი 16).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

16:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა მარიამ ჩაგელიშვილმა.

19. შპს - „ცხუმ-ეგრისისთვის“ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და გიორგი ბერიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს - „ცხუმ-ეგრისში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს ხერვეები არ დაფიქსირებულა, დაწესებულებას მიეცა რამდენიმე შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1. რეკომენდირებულია B გარემოში დარჩეს მხოლოდ 14 კომპიუტერი, რამდენადაც 22 კვ.მ ფართი მეტის შესაძლებლობას არ იძლევა

2.2.1.1. პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში გათვალისწინებულ იქნას დაწესებულების პროფილი და არსებული სერვისები.

2.2.1.1. შეიცვალოს ხელშეკრულებები კლინიკური მოდულების განმახორციელებლებთან (პარტნიორ ორგანიზაციასთან სს “ევექსის ჰოსპიტლები“) და ხელშეკრულებაში დარჩეს მხოლოდ ის მოდულები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება ამ ჰოსპიტალში.

2.2.1.1. გაფორმდეს ხელშეკრულება სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან ორი კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით. ყველა ზემოხსენებულ შესაბამისობის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა ერთთვიანი განვითარების გეგმა, რომელიც კოლეჯის მიერ დასკვნის პროექტთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოეგზავნათ ექსპერტებს. წარმოდგენილ განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები მეორე სტანდარტის მეორე ქვესტანდარტის პირველ კომპონენტთან 2.2.1.1. მიმართებაში და დაგეგმილია განსახორციელებელი აქტივობები, კერძოდ:

1. კოლეჯი ცვლილებას განახორციელებს პროგრამში, კერძოდ სასწავლო გეგმაში და კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელებას დაგეგმავს 4 ჯგუფზე (14 სტუდენტი ოთხ ჯგუფად) 4 სასწავლო გეგმით.

2. გააფორმებს ხელშეკრულებას სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. B გარემოში არსებული ფართის გათვალისწინებით (22 კვ.მ) დატოვებს მხოლოდ 14 კომპიუტერს,

4. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ - მოდულების განმახორციელებლების შერჩევას განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით.

5. გააფორმებს ხელშეკრულებას სენაკის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრის პოტენციურ მასწავლებლებთან 2 კლინიკური მოდულის „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ (3 კრედიტი) განხორციელებასთან დაკავშირებით.

6. დამატებით განახორციელებს ტრენინგების ციკლს მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ. განვითარების გეგმით განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, დაწყება/დასრულების სავარაუდო თარიღები (25 მაისი -25 ივნისი), განმახორციელებელი პირი (მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი) და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ხარისხის მართვის მენეჯერი), სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი), მითითებულია ასევე განხორციელებაში ჩართული პირები. წარმოდგენილი განვითარების გეგმის შესრულების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (14 პროფესიული სტუდენტის) გათვალისწინებით.

თავის პრეზენტაციაში ქეთევან ბოტკოველი შეეხო ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის საკითხს, მან აღნიშნა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს: ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ არქვს პრაქტიკული გამოცდილება იმ დარგში, რომელიც მოდულის თეორიულ კურსსაც ახორციელებს („პედიატრია და მოზარდები“, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“, „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“), რაც თავის მხრივ დიდ გავლენას მოახდენს აღნიშნული მოდულის სწავლების ხარისხზე. მაგ:

მოდულების: „საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში“; „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო საქმის საფუძვლები და ანესთეზია“; ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“ - განმახორციელებლის სამუშაო გამოცდილება ვერ დასტურდება (წარმოდგენილია მხოლოდ სამედიცინო დის დიპლომი). აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია რომ მედდა - პროფესიული მოდულის განმახორციელებელს ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დარგში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მოდული - „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, რომელიც მოიცავს როგორც ქირურგიული პაციენტის პრე და პოსტოპერაციულ მოვლის საკითხებს, ასევე თავად ქირურგიული პროცედურის დროს ქირურგის ასისტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად საოპერაციო მოწყობილობების, სპეციფიკების და შესაბამისი რისკების შესახებ ინფორმაციას ფლობს პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექთანი. ამდენად ამ მოდულის განმახორციელებელი სასურველია იყოს პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექთანი. იგივე ითქმის „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვისა და ანესთეზიის“ მოდულზეც. მოდულების: „პედიატრია და მოზარდები“ და „ანატომია-ფიზიოლოგია“ - განმახორციელებელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არ აქვს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არა თუ პედიატრიულ მიმართულებაში, არამედ არც მედდად მუშაობის გამოცდილება და შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის პრაქტიკით. მოდულების: „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“; „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, „პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)“ - განმახორციელებლის შემთხვევას რაც შეეხება, მასთან მიმართებაში ვრცელდება იგივე პრობლემა, რაც ზემოთ აღინიშნა, რადგან იგი არის ოჯახის ექიმი და ენდოკრინოლოგი, ასევე მუშაობდა თერაპევტად 1986-1984 წწ. ზუგდიდის პირველადი სასწრაფო-გადაუდებელი დახმარების სამედიცინო სადგურში. შესაბამისად მოდულის „გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის სწავლების“ გამოცდილება არ აქვს. უფრო მეტიც, ექსპერტებს მიეცა შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ მას. გასაუბრებისას დარგის ექსპერტის მიერ დასმულ შეკითხვებს, რომელიც ეხებოდა გადაუდებელი მედიცინის საექთნო მართვის მოდულთან დაკავშირებულ შინაარსობრივ კომპონენტებს, მან ვერ უპასუხა. გამოვლინდა რომ იგი არ იცნობდა აღნიშნული მოდულის თემატიკასაც კი. მოდულის „ფსიქიატრიული ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ პოტენციურ განმახორციელებელს არ აქვს ფსიქიატრიული მიმართულების მუშაობის გამოცდილება. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ნაწილს უძღვებოდეს შესაბამის მიმართულებაში სამუშაო პრაქტიკის მქონე ექთანი. კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან თანამშრომლობის პირობებში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი მოცემულ მიმართულებაში სამუშაო გამოცდილებით. მოდულების: „ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ და ასევე „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“ განმახორციელებლის ვინაობა მითითებულია გადმოგზავნილ ახალ სიაში (დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ დოკუმენტაციას დაურთო ახალი მასწავლებლების სია), თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულება. მის საქმეს ახლავს მხოლოდ ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ორი მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ამ მოდულებთან დაკავშირებით ხელშეკრულება დადებულია მასწავლებელთან სტატუსით „შემცვლელი მასწავლებელი“, რომელიც ამ სიაში არ არის მოხსენიებული. ხელშეკრულება დადებულია იმის თაობაზე, რომ ის საჭიროების შემთხვევაში შეცვლის პროფესიული განათლების მასწავლებელს მოდულის „ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ განსახორციელებლად. რაც შეეხება მოდულს „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“ აქაც არ არის ხელშეკრულებით გაფორმებული განმახორციელებელი პირი. არის მხოლოდ სტატუსით „შემცვლელ მასწავლებელთან“ დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. შესაბამისად ვერ დგინდება, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ მოდულის განხორციელება. ექსპერტთა განმარტებით,

დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო კონკრეტული მასწავლებლის მხოლოდ განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ვერ დასტურდებოდა მისი საქმიანობა მოდულთან მიმართებაში.

პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და პირადი საქმით. კოლეჯის დებულებით განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობა და ხელშეკრულებასაც ახლავს მისი სამუშაო აღწერილობა, თუმცა მასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან წარმოადგინა ტრენინგის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება“ - მონაწილის დამადასტურებელი სერტიფიკატი, იგი კარგად არ იცნობს პროგრამას და იმ მოდულებს, რომელთა განხორციელებაც განსაზღვრული აქვს ხელშეკრულებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის დირექციას მიეცა შემდეგი რეკომენდაცია - პროგრამის ხელმძღვანელი გაეცნოს მოდულური სწავლების პრინციპებს, უფრო აქტიურად ჩაერთოს პროგრამის შემუშავების საქმეში და ყურადღებით მოეკიდოს პროგრამით გათვალისწინებული კლინიკური მოდულების განმახორციელებლების შერჩევას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის და ერთთვიანი განვითარების გეგმის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელს შესაბამისი ტრენინგებით მოდულური სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 14 პროფესიული სტუდენტით ერთ ცვლაში და 28 სტუდენტით ორ ცვლაში. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების მესამე წელს პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მოდულები განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში, კოლეჯი გეგმავს დამატებით მიიღოს ასევე 14 სტუდენტი, ჯამში: 42 სტუდენტი პროგრამის დასრულებამდე. თუმცა, მოცემული მდგომარეობის გათვალისწინებით, იგულისხმება სასწავლო A და B აუდიტორია, პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, ასევე მასწავლებლების 35-40 კვირეული საათობრივი დატვირთვა, ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯს შეუძლია განახორციელოს პროგრამა მხოლოდ ერთ ცვლაში, 14 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია დაინტერესდა, ექსპერტებს ჰქონდათ თუ არა გასუბრება სენაკის კლინიკასთან და მათ გამოხატეს თუ არა თანამშრომლობის მზაობა, ასევე ერთთვიანი განვითარების გეგმა ეხებოდა თუ არა მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელებას, რაზეც ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ დიახ, ნამდვილად ჰქონდათ მზაობა, თუმცა მათთან იმ ეტაპზე ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, 4 სასწავლო გეგმა გულისხმობდა თუ არა როტაციის პრინციპს პრაქტიკის ბაზაზე, რაზეც დარგის ექსპერტმა განუმარტა, რომ ცალსახად როტაციული პრინციპით მოხდებოდა პროფესიული სტუდენტების გადანაწილება.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, გაუმჯობესების გეგმა დაწესებულებას პირველად დოკუმენტაციასთან ერთად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ გეგმა გადმოგზავნილი იყო დასკვნის პროექტის გადაგზავნის შემდეგ, რაზეც ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ არგუმენტირებული პოზიციის გადმოგზავნასთან ერთად წარმოადგინა ერთთვიანი გაუმჯობესების გეგმა დაწესებულებამ, რამაც განაპირობა სტანდარტის „მეტწილი შესაბამისობით“ შეფასება.

შორენა ჯაფარიძე ჰკითხა ექსპერტებს კომპონენტების შეფასებასთან დაკავშირებით, თავდაპირველად შეფასდა, როგორც ნაწილობრივი და გაუმჯობესების გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასება, თუ თავიდანვე იყო მეტწილი შესაბამისობით შეფასებული, რაზეც

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2 ნაწილობრივ შესაბამისობა, რომელიც დასკვნის პროექტში იყო ასახული, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთთვისანი გაუმჯობესების გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტებს, რომ შესაძლებელი იყო თუ არა ამის გამოსწორება ერთ თვეში, მისი აზრით ეს იყო ხარვეზი, რომელიც ერთ თვეში ვერ გამოსწორდებოდა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს გიორგი ბერიას, რომელმაც გაუზიარა თავისი აზრი საბჭოს, მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გაიხსნა რუხის ჰოსპიტალი, რომელიც შედის სახელმწიფო ჰოლდინგში, უზარმაზარი, 400 საწოლიანი, ეს კლინიკა იყო ფლაგმანი კოვიდთან ბრძოლაში, შეიქმნა საშინელი დეფიციტი საექთნო პერსონალის, რის გამოც ევექსის კლინიკიდან ექთნები გადაიყვანეს ამ ჰოსპიტალში კოვიდთან საბრძოლველად, ევექსის ჰოსპიტლებს მოაკლდათ სხვა მიმართულებით საექთნო პერსონალი, რითაც იზარალა მოსახლეობამ, თითქოს კოვიდის სიტუაცია დარეგულირდა, თუმცა დარჩა დიდი კითხვის ქვეშ. დიდი დეფიციტია რეგიონში ამ მიმართულებით და ნამდვილად არის საჭირო, თუმცა მოდულების განმახორციელებლების პროფილი აღრეული იყო, კონკრეტულ მოდულზე განსაზღვრული იყო პირი, რომელსაც არ ჰქონდა გამოცდილება კონკრეტულ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ ხელშეკრულება დადებული ფსიქიატრიულ კლინიკასთან, თუმცა იქაური თანამშრომელი არ იყო განსაზღვრული მოდულის განმახორციელებლად. მან დაამატა, რომ კოლეჯმა უნდა გადააღაგოს დარგის მიხედვით მოდულის განმახორციელებლები.

ნანა ყუფუნია აღნიშნა, რომ მისი აზრით ერთ თვეში ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელი იყო და ზოგადად დაწესებულება არ იყო მზად ამ პროგრამის განხორციელებისთვის.

დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ შესაძლებელი იყო თუ არა ერთ თვეში ამ საკითხის მოგვარება დამოკიდებული იყო კოლეჯის ოპერირებაზე.

აქვე მან აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს დაფიქსირდა, რომ იყო გამოწვევა პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებაში, ძირითადად აქტიურობდა ხარისხის მართვის მენეჯერი და არა პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებლები.

ბოლოს საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მისი აზრით იყო თუ არა კოლეჯი მზად ამ პროგრამის განხორციელებისთვის.

ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა, იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას ცენტრში შემოტანილი ჰქონდა ასევე განაცხადი „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის დამატების შესახებ, თუმცა დაწესებულებამ ეს პროგრამა ჩახსნა, ვინაიდან ხარვეზები იქნა დაფიქსირებული პროგრამასთან მიმართებაში. მან დასძინა, რომ თუ საბჭო მიიღებდა დადებით გადაწყვეტილებას, დაწესებულებას დასჭირდებოდა სრული მონიტორინგი.

დარგის ექსპერტმა ასევე თავისი მოსაზრება გაუზიარა საბჭოს წევრებს, მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ჩართულობა, თუ დამსაქმებელი აქტიურად არის ჩართული, ეს პროცესი მაშინ წარმატებით სრულდება. მან ასევე დაამატა, რომ როდესაც ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოს პერსონალს დისტანციური ვიზიტის დროს გაესაუბრნენ, მათ გამოხატეს სრული მზაობა და სურვილი დაწესებულებასთან თანამშრომლობის, ეს მზაობა იმდენად მაღალია და ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მედდები და ტრენერები არიან, რომ ეს დაეხმარება კოლეჯს წარმატებაში, და ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულების სწორი მენეჯმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის მართვის მენეჯერმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ასევე გაუმჯობესების გეგმა (ერთთვისანი), ასევე შესრულებული დოკუმენტაცია მიწოდებულია ცენტრისთვის, გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ ის რეკომენდაციები, რაც გაცემული იქნა ექსპერტების მიერ, და იმ შემთხვევაში, თუ საბჭო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, კოლეჯი ყველაფერს გამოასწორებს უმოკლეს ვადაში, მან ასევე ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ის

კვალიფიციური სპეცილისტია, თუმცა სტრესული სიტუაციის გამო ჯეროვნად ვერ გასცა შეკითხვებს პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩართული იყო პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები და მიიღეს გადაწყვეტილება, საბჭოს გასულიყო სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ცხუმ-ეგრისისთვის“ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა დეა აბულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკითხის განხილვას თავიდან არ ესწრებოდა, საკმარისი არგუმენტები მოისმინა განხილვის დროს და დააფიქსირა თავისი პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:

შპს - „ცხუმ-ეგრისს“ (ს/კ: 220377759) უარი ეთქვას განახორციელოს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნანა ყუფუნია შეეხო დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის საკითხს. მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ გაუმჯობესების გეგმის წარმოდგენა გახდა ერთგვარი „ალიბი“, რომ დაწესებულებას მიეცეს შანსი, ამასთან დაკავშირებით მან შუამდგომლობით მიმართა ცენტრს გადაიხედოს გაუმჯობესების გეგმის შეფასების საკითხი, თუ რომელ კომპონენტში იქნას წარმოდგენილი. მან განმარტა, რომ უნდა იყოს განსაზღვრული რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს, ასევე შეფასება უნდა იყოს რეალისტური. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ადამიანური რესურსების დარღვევასაც ჰქონდა ადგილი, ასევე იდგა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის საკითხი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, არასაკმარისია ის არგუმენტები „მეტწილი შესაბამისობით“ შესაფასებლად, და საბჭო გაეცნო და არ იზიარებს გაუმჯობესების გეგმის რეალისტურობას. აქედან გამომდინარე კოლეჯი მოეკიდება ამ საკითხს უფრო სერიოზულად და აღმოიფხვრება დეფიციტი პერსონალის ხარისხიანი კადრებით დასაქმების ხარჯზე.

თავის მოსაზრება დააფიქსირა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით ჰქონდა განსხვავებული მოსაზრება, ის არ დაეთანხმა ექსპერტების მიერ კომპონენტის მეტწილი შესაბამისობით შეფასებას და დაამატა, რომ, მიუხედავად წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმისა, უნდა დარჩეს დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება - ნაწილობრივი. ასევე მან ყურადღება გაამახვილა 2.1 კომპონენტზე, სადაც საუბარია პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე და აღნიშნა, რომ ძირითადად დაწესებულების პრობლემა აქედან დაიწყო, რაც გამოიხატა რესურსების, კერძოდ, ადამიანური რესურსების არასწორ დაგეგმვაში.

20. სსიპ - კოლეჯ „ობიზარის“ „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ლევან მადათოვმა და გიორგი ხაბეიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობა შესყიდვის პროცესში იყო. ონლაინ ჩართვის დროს (19 აპრილი) დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აღჭურვილობის სრული ჩამონათვალი და მიღება-ჩაბარების აქტი, აღჭურვილობის არსებობა ასევე დასტურდება ონლაინ დათვალიერებით და ფოტომასალით.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა. ექსპერტმა ასევე წარმოადგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიების ფოტოები. ასევე ლაბორატორიის ფოტოები, მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანი/ნიჟარა, ხოლო გამწოვი კარადის დამონტაჟება მოხდება განსაზღვრულ ვადაში.

ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არსებული ზღვრული რაოდენობიდან (30) 15 ინტეგრირებულზე, რისი შესაძლებლობაც ექსპერტმა დაადასტურა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს გიორგი ხაბეიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ თავის პრეზენტაციაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად წარმოადგინა საკითხი და დაამატა, რომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს ყველა საჭირო რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. დაწესებულების დირექტორმა ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში არის გამწოვი, თუმცა ვინაიდან გარკვეული მონაცემების უნდა იყოს, უახლოეს პერიოდში შეიძენს დაწესებულება. იგი ასევე შეეხო პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხს და აღნიშნა, რომ ყველა აყვანილია შერჩევით და ტრენინგები გავლილი აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 17).

21. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ლევან მადათოვმა და ნიკოლოზ კიკნაველიძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით (ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტები) განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულია, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ განაცხადის წარმოდგენის მომენტისთვის ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობა შესყიდვის პროცესში იყო. ონლაინ ჩართვის დროს (19 აპრილი) დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა აღჭურვილობის სრული ჩამონათვალი და მიღება-ჩაბარების აქტი, აღჭურვილობის არსებობა ასევე დასტურდება ონლაინ დათვალიერებით და ფოტომასალით. ასევე აღინიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არსებული (30) ზღვრული რაოდენობიდან 15 ინტეგრირებულზე, რისი შესაძლებლობაც ექსპერტმა დაადასტურა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ნიკოლოზ კიკნაველიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც დარგის ექსპერტი მოხარულია, რომ რეგიონში, ამ დაწესებულებაში განხორციელდება ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. დაწესებულების დირექტორმა ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში უკვე დააფიქსირა თავისი აზრი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფერმერობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 18).

22. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ლევან მადათოვმა და გივი დოლიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ხარვეზები არ დაფიქსირებულია, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტი შეფასებულია „სრული შესაბამისობით“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციამ (ICCA), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მხარდაჭერით კომპანიების საჭიროებათა გამოსავლენად ჩაატარა კვლევა. კვლევის

შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ პოზიციასა შორისაა სამშენებლო კონსტრუქციების მემონტაჟის პოზიცია. ამ საკითხთან ბმაშია საკადრო საკითხებიც. რეგიონის სამშენებლო კომპანიები აშკარად განიცდიან კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას, ასევე ტენდერში გამარჯვებული სხვა (არაადგილობრივი) კომპანიები რეგიონში ეძებენ ადგილობრივ სპეციალისტებს, რადგან ჩამოყვანა გაცილებით ძვირი უჯდებათ, სწორედ ამან განაპირობა დაწესებულების დაინტერესება ამ პროგრამით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი“ გათვალისწინებულია, როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

მან ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდებოდა დაწესებულებაში ორი მიდგომით (მოდულური და დუალური) მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან 30 მოდულურზე, ხოლო 36 დუალურზე, მან დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეუძლია ამ რაოდენობით პროფესიული სტუდენტების მიღება. ასევე ყურადღება გაამახვილა, იმ ფაქტზე, რომ მოდულური ფორმით სწავლება განხორციელდებოდა კოლეჯში, ხოლო დუალური მიდგომით შპს „არალში“.

ექსპერტმა ასევე წარმოადგინა თავის პრეზენტაციაში A, B და C გარემოების ფოტოები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს გივი დოლიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც დარგის ექსპერტის აქცენტები იყო მიმართული A, B და C გარემოზე, ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე, მისი აზრით წარმოდგენილი მატერიალური, ადამიანური რესურსი აკმაყოფილებს სტანდარტებს და წარმატება უსურვა კოლეჯს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 19).

23. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „წყალმომარაგების“

სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ლევან მადათოვმა და ჯიმშერ მაისურაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტი შეფასებულია სრული შესაბამისობით.

„წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 57,1% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში, საწარმოს პროგრამის განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, ხოლო დარჩენილი სწავლის შედეგების კრედიტების 42,9% მიიღწევა კოლეჯში, პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება დაწესებულებაში და შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „სამცხე ჯავახეთის რეგიონალურ ფილიალში“. მან ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტოები

მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 36 (დუალური მიდგომით), დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 36 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ჯიმშერ მაისურაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ გაესაუბრნენ კოლეჯი წარმომადგენლებს, გადამზადებული არიან, ასევე

ვესაუბრეთ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დათვალეობულ იქნა ონლაინ ჩართვის დროს პარტნიორი ორგანიზაციის გარემო.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება ამ 36 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ შესაძლებელი იყო ნაკადებად მიღება 16-16, ან 12-12. მან ასევე დაამატა, რომ კომპანიიდან წამოვიდა მოთხოვნა, რომ ამ პროგრამის დამატების შემდეგ დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა კომპანიის მოთხოვნებზე დაფუძნებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 20).

24. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს მიმართა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ლევან მადათოვმა და ჯიმშერ მაისურაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ

„ოპიზარში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ხარვეზები არ დაფიქსირებულია, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. ასევე წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტი შეფასებულია სრული შესაბამისობით.

„წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 57,1% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში, საწარმოს პროგრამის განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, ხოლო დარჩენილი სწავლის შედეგების კრედიტების 42,9% მიიღწევა კოლეჯში, პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი გარემო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება დაწესებულებაში და შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „სამცხე ჯავახეთის რეგიონალურ ფილიალში“. მან ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტოები.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 36 (დუალური მიდგომით), დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 36 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ჯიმშერ მაისურაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს, მოდულის განმახორციელებლები გადამზადებული არიან, ასევე გასაუბრება განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, დათვალაიერბულ იქნა ონლაინ ჩართვის დროს პარტნიორი ორგანიზაციის გარემო.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება ამ 36 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ შესაძლებელი იყო ნაკადებად მიღება 16-16 ორ წელიწადზე, ან 12-12 სამ წელზე. მან ასევე დაამატა, რომ კომპანიიდან წამოვიდა მოთხოვნა, რომ ამ პროგრამის დამატების შემდეგ დაწესებულებამ დაიმატოს მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, ასე რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს კომპანიის მოთხოვნებზე დაფუძნებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება. მან მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „წყალარინების სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 21).

25. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა მანანა მოისწრაფიშვილმა და დავით გუდაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ,

2.2.1.(1) დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი ის მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმით.

2.2.1.(7) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელობას და ფინანსურ მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაიზიარეს გაუმჯობესების გეგმა და სწორედ ამის მიხედვით შეფასდა მე-2 სტანდარტი „მეტწილი შესაბამისობით“.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროგრამის განხორციელების მიდგომები და სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსი, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. A, B და C გარემოებში, რომელშიც განთავსდება 12-12 პროფესიული სტუდენტი. A, B გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემოში ამ ეტაპისთვის ელექტროობისთვის განთავსებულია აღჭურვილობის ნაწილი შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, თუმცა, კოლეჯს 2.2. კომპონენტი თავად შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი შესაბამისობა“ და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დარჩენილი ინვენტარის შესყიდვების დასრულებას გეგმავს 2021 წლის სექტემბერში.

გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფისთვის მემორანდუმები/ხელშეკრულებები გაფორმებულია ხუთ კომპანიასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით აქტივობა „პროფესიული მასწავლებლების გადამზადება თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შესაბამისად“. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩაუტარდათ მოდულურ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შიდა ტრენინგები და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პედაგოგიური სრული კურსი.

პრეზენტაციაში ექსპერტის მიერ წარმოდგენილი იქნა A, B და C სასწავლო გარემოების ფოტოები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს დავით გუდაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ C გარემოში ამ ეტაპისთვის ელექტროობისთვის განთავსებულია აღჭურვილობის ნაწილი შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე აღჭურვილობა შევსებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

26. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მანანა მოისწრაფიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ

2.2.1.(1) დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი ის მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმით.

2.2.1.(7) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელობას და ფინანსურ მდგრადობას.

მანანა მოისწრაფიშვილმა ასევე გაამახვილა ყურადღება რეგიონის სპეციფიური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სატყეო განათლების პროგრამის აუცილებლობაზე; სატყეო საქმის მიმართულებით განათლების ხელშეწყობა; რეგიონის მოსახლეობის არასაკმარისი ცნობიერების საკითხი ტყის მნიშვნელობასა და მდგრადი მართვის პრონციპების შესახებ; რეგიონში პროფესიული კადრების დეფიციტი. ევროკავშირის პროექტის “ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის” ფარგლებში, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2020 წელს ჩატარებული კვლევის - “პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შეფასება” - შედეგებს. გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ განხორციელების თაობაზე შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, რომელშიც გაცხადებულია, რომ იგი მრავალპროფილურია.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ მხედველობაში მიიღო პროგრამის განხორციელების მიდგომები და სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებას დადგენილი და წარმოდგენილი აქვს „სატყეო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, 15-15 პროფესიული სტუდენტი თითო ცვლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 23**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

27. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის

დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ

2.2.1.(1) დაწესებულებამ საჭიროა სწავლის დაწყებამდე შეიძინოს აღჭურვილობის ჩამონათვალში გაწერილი ის მატერიალური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმით.

2.2.1.(7) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარის დადგენისთვის შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვით მოხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელობას და ფინანსურ მდგრადობას.

მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ მხედველობაში მიიღო პროგრამის განხორციელების მიდგომები და სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსები, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. აქედან გამომდინარე დაწესებულებას დადგენილი და წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 75 პროფესიული სტუდენტი (15-15 პროფესიული სტუდენტი თითო ჯგუფში), მათ შორის ინტეგრირებულ პროგრამაზე 45 (ერთ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტი), ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სწავლება განხორციელდეს ორ ცვლაში. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შესაბამისობაშია მათ რესურსებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 24**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

28. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა თეა ლილუაშვილმა და ნატალია დარჩინიანმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაცა განვითარების რეკომენდაცია, კერძოდ

2.2.1. გაფორმდეს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განისაზღვრება, მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 10 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A გარემო, 11 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B გარემო და C ტიპის გარემო. დაწესებულებამ წარმოადგინა 6 თვეზე გათვლილი შესაბამისობის გეგმა C ტიპის გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შეძენის მიზნით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესყიდვის განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 10 სექტემბერი. ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროცედურები მიმდინარეობს გაწერილი გეგმის შესაბამისად, შესყიდვისთვის თანხა მოთხოვნილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან, შეთანხმებულია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და თანხის ჩარიცხვისთანავე დაიწყება შემდგომი პროცედურები, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გეგმით გაწერილ ვადაში შესყიდვის პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშლება. ვიზიტის მომენტისთვის შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ჩარიცხული არ იყო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გამოაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2021 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (მათ შორის „თმის მომსახურება“) განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა, ხელშეკრულებაში განსაზღვრულია კონკრეტული თანხა და დანართის სახით თან ახლავს შესამენი აღჭურვილობის ნუსხა და რაოდენობები. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა კომპანიებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ შესაბამისობის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 25**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

29. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა თეა ლილუაშვილმა და თამარ მოსემვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების

ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაცა ორი განვითარების რეკომენდაცია, კერძოდ

2.1.1 სასურველია „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისების“ მოდულის შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ მოდულის დაწყებას. სასურველია მოდული „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „საფეიქრო მასალის ღებვა“ მოდულის დაწყებას.

2.2.1. გაფორმდეს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განისაზღვრება მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებამ პროგრამა შეიმუშავა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თვითდასაქმების შესაძლებლობის მქონე პროფესიონალი კადრების მომზადების მიზნით. კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელია გობელინის და ხალიჩის ქსოვა, თექის დამზადება. ქართული ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები დიდ ინტერესს იწვევს როგორც ქართველ მოსახლეობაში, ასევე უცხოელ ტურისტებში, რაც ხელს უწყობს თვითდასაქმების შესაძლებლობას.

პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 12 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A, B და 2 C ტიპის გარემო. დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A და B გარემო, ხოლო C გარემო ნაწილობრივ არის აღჭურვილი. დაწესებულებამ წარმოადგინა 6 თვეზე გათვლილი შესაბამისობის გეგმა C ტიპის გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შეძენის მიზნით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეძენის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 10 სექტემბერი. ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროცედურები მიმდინარეობს გაწერილი გეგმის შესაბამისად, შესყიდვისთვის თანხა მოთხოვნილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან, შეთანხმებულია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და თანხის ჩარიცხვისთანავე დაიწყება შემდგომი პროცედურები, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გეგმით გაწერილ ვადაში შესყიდვის პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშლება. ვიზიტის მომენტისთვის შესაბამისობის გეგმა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი არ იყო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გამოაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2021 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანია პროგრამებისთვის (მათ შორის „მხატვრული ქსოვა“) განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა, ხელშეკრულებაში განსაზღვრულია კონკრეტული თანხა და დანართის სახით თან ახლავს შესაძენი აღჭურვილობის ნუსხა და რაოდენობები. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ თელავის ისტორიულ მუზეუმთან, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიების ხელშეწყობას, ერთ ნაკადზე არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის. ვიზიტისას დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს თითო ნაკადზე სასწავლო ექსკურსიების მოწყობას „მხატვრული ქსოვის“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 15 პროფესიული სტუდენტისთვის. კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ შესაბამისობის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა 24 პროფესიული სტუდენტისთვის.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს თამარ მოსეშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა სპეციფიურია, მას ორი C გარემო სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები არ ჭირდება, 2 C გარემო სრულყოფილად მაინც არ არის ამ ეტაპზე აღჭურვილი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი სრულად იქნება აღჭურვილი. მან ასევე დაამატა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კახეტში ამ პროგრამის განხორციელება, ვინაიდან კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელია გობელისის და ხალიჩის ქსოვა, თეპის დამზადება. ქართული ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები დიდ ინტერესს იწვევს როგორც ქართველ მოსახლეობაში, ასევე უცხოელ ტურისტებში, რაც ხელს უწყობს თვითდასაქმების შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მხატვრული ქსოვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 26**)

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

18:30 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ ჩაგელიშვილი.

30. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ალინა კუპრავამ და გენადი კვერენჩილამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2.1.1.1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №01-4/47 ბრძანებით (ცვლილებები შესულია დირექტორის 2021 წლის 21 მაისის №01-4/84 ბრძანება) ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები, მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის პერიოდები დაგეგმილია მაისიდან - ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა, მათი მონტაჟი და ტრაპების მოწყობა.

2.2.1.1.3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №01-4/47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც

ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აგვისტოს ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებას გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

2.2.1.7. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა რეგიონში ამ პროგრამის განხორციელების მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ კახეთის რეგიონში მიმდინარე ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ტურიზმის სფეროსკენ. კახეთის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით განვითარების დიდ პოტენციალს. გარდა არსებული, მოქმედი ტურისტული კომპლექსებისა, თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სასტუმროს მშენებლობა-განვითარება. ამასთანავე, კვლევამ ცხადყო, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში კახეთში იგეგმება შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სფეროს განსავითარებლად. რაც თავის მხრივ, გაზრდის „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსს. კახეთში, მზარდი ინდუსტრიული თუ ტურისტული პოტენციალის პირობებში, ახლად გახსნილი რესტორნების, კაფე-ბარების და სასტუმროების საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარე, მომსახურების სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და აქტუალური პროფესიაა - კულინარიის ხელოვნება. ამასთანავე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ ეზიარონ როგორც ქართული სამზარეულოს ტრადიციულ კულტურას, ასევე საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადებას. აგრეთვე, დიდია კურსდამთავრებულთა შემდგომი თვით დასაქმების შესაძლებლობა.

კოლეჯს გარკვეული გამოცდილება აქვს კულინარიის მიმართულებით სწავლებაში, შესაბამისად, მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტებთან/ პედაგოგებთან ერთად, შესაძლებელია ხარისხიანი პროფესიული განათლების შეთავაზება პოტენციური სტუდენტებისათვის. სწავლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი ამჟამად დასაქმებულია და ისინი წარმატებით ახდენენ კოლეჯში მიღებული ცოდნის რეალიზებას. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და შეადგენს 68%.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, თითოეულ მათგანს შეუძლია პრაქტიკის ობიექტზე მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი (ჯამში მაქსიმუმ - 30 სტუდენტი). დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №01-4/47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის შესყიდვა (პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური/დარგობრივი მატერიალური რესურსების დაახლოებით 95%) განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ფინანსური ნაწილის დაკმაყოფილებაზე შეთანხმება მიღწეული იყო და უნდა განხორციელდეს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დაფინანსების გადმორიცხვა კოლეჯის ანგარიშზე, რათა დაიწყოს შესყიდვის პროცედურები. გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდვის პროცედურა უნდა დასრულდეს 2021 წლის სექტემბერში (6 თვის ვადაში), დისტანციური ვიზიტის დროს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი არ იყო, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა

ზ/აღნიშნული ფაქტი, მათ მხოლოდ ზეპირი თანხმობა მიიღეს ზ/აღნიშნული სამინისტროდან. ექსპერტების პოზიციით იმ ეტაპზე მაშინ, როცა ფინანსური რესურსი ჯერ არ ჰქონდა კოლეჯს, სავარაუდო თარიღიც არ იყო განსაზღვრული თანხის ჩარიცხვის, რომ დაიწყო კოლეჯს დაეწყო შესყიდვა, რომელსაც ასევე სჭირდება გარკვეული პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი) იყო რისკები ამ გეგმის დადგენილ ვადებში შესრულების თვალსაზრისით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი; ზღვრული რაოდენობა არის 30) ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები, ასევე პრაქტიკის ობიექტის ფოტოები.

„კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აპრილის ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს გენადი კვერენჩილაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტნიორი ორგანიზაციები დაინტერესებული არიან თანამშრომლობით, დასაქმების მაჩვენებელი არის მაღალი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მაღლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 27).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

31. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ალინა კუპრავამ და გენადი კვერენჩხილაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2.1.1. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა (2021 წლის 12 მარტის №01-4/47 ბრძანება, ცვლილებები შესულია 2021 წლის 21 მაისის №01-4/84 ბრძანებით), რომლის მიხედვით პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები, მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის პერიოდები დაგეგმილია მაისიდან - ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა, მათი მონტაჟი და ტრაპების მოწყობა. ასევე, გეგმის თანახმად „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელების მდგრადობისთვის დაგეგმილია დამატებით ადამიანური რესურსის მოძიება აპრილის ბოლომდე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციები განთავსებულია და აპრილის ბოლოდან იგეგმება მსურველების შერჩევის პროცედურა. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და პროგრამაში ასახვა. ასევე გეგმის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აგვისტოს ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

განმავითარებელი რეკომენდაციები

2.2.1.7. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კახეთის ისტორიული ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, მეღვინეობის კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურული ისტორიული მემკვიდრეობა და გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს განაპირობებს, შესაბამისად, ტურიზმს დიდწილად შეუწყობს ხელს მომსახურების სფეროს განვითარება. კახეთის რეგიონში აქტიურად ფუნქციონირებს 30-მდე სხვადასხვა დონის სასტუმრო-რესტორანი (მათ შორის ისეთი ძვირადღირებული როგორც „ამბასადორი“, „ლოპოტა“, „ძველი თელავი“, „ყვარლის ტბა“), 100-ზე მეტი მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 70-მდე კვების ობიექტი, რესტორანი, კაფე-ბარი, პიცერია, 15 ტურისტული კომპანია და სხვა. მომსახურების დონე, სტანდარტები და საკადრო დეფიციტი პრობლემას წარმოადგენს თვით ძვირადღირებული სასტუმრო/რესტორნებისთვის. შესაბამისად, კახეთში, მზარდი ინდუსტრიული თუ ტურისტული პოტენციალის პირობებში, ახლად გახსნილი რესტორნების, კაფე-ბარების, საკონდიტროების და სასტუმროების საკადრო პოლიტიკის გათვალისწინებით, მომსახურების სფეროს აქტუალური პროფესიაა - კონდიტერია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიად მიიჩნევა. კახეთის რეგიონი დღესდღეობით განიცდის კონდიტერის სპეციალისტის კადრის დეფიციტს, რასაც ადასტურებს ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ მიერ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კახეთის რეგიონში მიმდინარე ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ტურიზმის სფეროსკენ. როგორც კვლევის ანგარიშიდან ჩანს, კახეთის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით განვითარების დიდ პოტენციალს. გარდა არსებული, მოქმედი ტურისტული კომპლექსებისა, თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სასტუმროს

მშენებლობა-განვითარება. ამასთანავე, კვლევამ ცხადყო, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში კახეთში იგეგმება შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სფეროს განსავითარებლად. რაც თავის მხრივ, გაზრდის სასტუმრო, რესტორანი, კვება მომსახურე პერსონალის დასაქმების შანსს.

სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, თითოეულ მათგანს შეუძლია პრაქტიკის ობიექტზე მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი (ჯამში მაქსიმუმ - 16 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 30 სტუდენტი). პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში ხორციელდება სასწავლო ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულებამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის შესყიდვა(შესასყიდია პროგრამით გათვალისწინებული სპეციფიკური/დარგობრივი მატერიალური რესურსების დაახლოებით 95%) განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა , რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ფინანსური ნაწილის დაკმაყოფილებაზე შეთანხმება მიღწეული იყო და უნდა განხორციელდეს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი დაფინანსების გადმორიცხვა კოლეჯის ანგარიშზე, რათა დაიწყოს შესყიდვის პროცედურები. გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდვის პროცედურა უნდა დასრულდეს 2021 წლის სექტემბერში(6 თვის ვადაში), შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დისტანციური ვიზიტის დროს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი არ იყო, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა ზ/აღნიშნული ფაქტი, მათ მხოლოდ ზეპირი თანხმობა მიიღეს ზ/აღნიშნული სამინისტროდან. ექსპერტების პოზიციით იმ ეტაპზე მაშინ, როცა ფინანსური რესურსი ჯერ არ აქვს კოლეჯს, სავარაუდო თარიღიც არ არის განსაზღვრული თანხის ჩარიცხვის, რომ დაიწყოს კოლეჯმა შესყიდვის პროცედურა, რომელსაც ასევე დასჭირდება გარკვეული პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი) იყო რისკები ამ გეგმის დადგენილ ვადებში შესრულების თვალსაზრისით. ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი; ზღვრული რაოდენობა არის 30). დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილყო გაუმჯობესების გეგმა, რის შემდეგაც დაეზუსტებინა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები (დაწყება-დასრულება), მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის საკითხი, აღნიშნული გარემოების საფუძველზე ექსპერტების მხრიდან 2.2. კომპონენტი შეფასდა - სტანდარტთან შეუსაბამოდ. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ანალიზით ირკვევა, რომ გაფორმებულია 2021 წლის 18 მაისის ხელშეკრულება N55 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ შორის, რომლის საგანს წარმოადგენს ავტორიზაციისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 889.503.41 (რვაას ოთხმოცდაცხრა ათას ხუთას სამი ლარი და ორმოცდაერთი თეთრი) ლარს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ განსახორციელებლად საჭირო ინვენტარისა და აღჭურვილობისთვის

გამოყოფილია 115495.00 ლარი, რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი, აგრეთვე ტრაპების მოწყობა) შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით. ცვლილებებით დამტკიცდა (დირექტორის 2021 წლის 21 მაისის №01-4/84 ბრძანება) ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის პერიოდები დაგეგმილია მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში; დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა, მათი მონტაჟი და ტრაპების მოწყობა.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, რამდენად გონივრულად იყო გაწერილი გაუმჯობესების გეგმა და რამდენად იძლეოდა კომპონენტის შეფასების საშუალებას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დისტანციური ვიზიტის დროს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი არ იყო, ვინაიდან დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა ზემოაღნიშნული ფაქტი, მათ მხოლოდ ზეპირი თანხმობა მიიღეს სამინისტროდან. ექსპერტების პოზიციით იმ ეტაპზე მაშინ, როცა ფინანსური რესურსი ჯერ არ აქვს კოლეჯს, სავარაუდო თარიღიც არ არის განსაზღვრული თანხის ჩარიცხვის, რომ დაიწყოს კოლეჯმა შესყიდვის პროცედურა, რომელსაც ასევე დასჭირდება გარკვეული პროცედურები (ტენდერის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესყიდვა და მიღება-ჩაბარების გაფორმება, რესურსების კოლეჯში მობილიზება და მონტაჟი) იყო რისკები ამ გეგმის დადგენილ ვადებში შესრულების თვალსაზრისით. ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი; ზღვრული რაოდენობა არის 30). დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილიყო გაუმჯობესების გეგმა, რის შემდეგაც დაეზუსტებინა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები (დაწყება-დასრულება), მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის საკითხი, აღნიშნული გარემოების საფუძველზე ექსპერტების მხრიდან 2.2. კომპონენტი შეფასდა - სტანდარტთან შეუსაბამოდ. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები მათი მონტაჟის და ტრაპების მოწყობის პერიოდები დაგეგმილია მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში; სწორედ ამის შემდეგ ექსპერტების მიერ შეფასება შეიცვალა და 2.2. კომპონენტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მიეცათ უფლება, საბჭოს წევრებისთვის გაეკეთებინა განმარტება გაუმჯობესების გეგმასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რამდენჯერმე წამოიწია დღევანდელ საბჭოზე ეს საკითხი და ფაქტიურად ეს არის მაგალითი, რომ დასკვნის პროექტის შემდეგ წარმოდგენილი გეგმა არის დამაჯერებელი და

ექსპერტთა შესწავლაც არის უფრო სიღრმისეული და ანალიტიკური, ექსპერტი აღწერს პირველადი გეგმის შინაარსს, ასევე, შემდეგ რა იყო წარმოდგენილი, როგორ შეისწავლეს, რა აქცენტები გაკეთდა, და რამ განაპირობა ის, რომ მათთვის დამაჯერებელი გამხდარიყო და შესაბამისად ეს ვადები და მათი ცვლილება სტანდარტის შეფასებაში ყოფილიყო დასაბუთებული. ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტებმა გაწიონ დამატებითი სამუშაო, ეს არის წარმოების თანმხლები პროცესი, რომ დამატებით, დეტალურად იქნას განხილული გაუმჯობესების გეგმა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა ექსპერტთა ჯუფი ცვლის შეფასებას. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და ექსპერტებს.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს გენადი კვერენჩილაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზენტაციაში მკაფიოდ იყო ყველაფერი წარმოდგენილი, დაამატა, რომ მნიშვნელოვანია პარტნიორი ორგანიზაციების დაინტერესება თანამშრომლობით, რაც თავისთავად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესი დასრულდება სექტემბერში და ვიმედოვნებთ, რომ იმ დროისთვის ყველაფერი წესრიგში იქნება და ეს კოლეჯი იქნება ერთ-ერთი საამაყო რეგიონში, ვეცდებით რომ რეგიონში განვავითაროთ პროფესიული განათლება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 28)**.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

32. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინა ექსპერტმა ალინა კუპრავამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟი“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1, 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტების შესაბამისობა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-2 სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2.1.1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით (ცვლილებები შესულია დირექტორის 2021 წლის 21 მაისის N01-4/84 ბრძანება) ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის პროცედურები და მათი მონტაჟი დაგეგმილია მაისიდან - ოქტომბრის ჩათვლით, არაუმეტეს ექვსი თვის ვადაში, დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვა და მათი მონტაჟი.

2.2.1.3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2021 წლის 12 მარტის N01-4/47 ბრძანებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, რომლებიც ახლად ერთვებიან პროფესიულ განათლებაში, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების საკითხებში ტრენინგების აუცილებლობა, რომელიც უნდა ჩატარდეს აგვისტოს ბოლომდე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებას

გეგმით დადგენილ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის. 5 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.7. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და დადგენილი რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით, განახორციელოს შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება

მმან ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა როგორც აღნიშნული მიმართულების პროგრამების სწავლების განხორციელების მრავალწლიანი (2008 - 2018 წლები) გამოცდილება, ასევე, მოთხოვნა სწავლის მსურველთა და დამსაქმებელთა მხრიდან; ამასთანავე, პროგრამაზე სწავლა კურსდამთავრებულს განუვითარებს იმ უნარ-ჩვევებს, რაც მას დაეხმარება საკუთარი მცირე ტიპის სასტუმროს (საოჯახო, გესტჰაუსი) გახსნასა და მართვაში. კახეთის რეგიონში აქტიურად ფუნქციონირებს 30-მდე სხვადასხვა დონის სასტუმრო-რესტორანი (მათ შორის ისეთი ძვირადღირებული როგორც „ამბასადორი“, „ლოპოტა“, „ძველი თელავი“, „ყვარლის ტბა“), 100-ზე მეტი მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 70-მდე კვების ობიექტი, რესტორანი, კაფე-ბარი, პიცერია, 15 ტურისტული კომპანია და სხვა. მომსახურების დონე, სტანდარტები და საკადრო დეფიციტი პრობლემას წარმოადგენს თვით ძვირადღირებული სასტუმრო/რესტორნებისთვის. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კახეთის რეგიონში მიმდინარე ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ტურიზმის სფეროსკენ. როგორც კვლევის ანგარიშიდან ჩანს, კახეთის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით განვითარების დიდ პოტენციალს. გარდა არსებული, მოქმედი ტურისტული კომპლექსებისა, თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სასტუმროს მშენებლობა-განვითარება.

ამასთანავე, კვლევამ ცხადყო, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში კახეთში იგეგმება შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სფეროს განსავითარებლად. რაც თავის მხრივ, გაზრდის „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსს.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

კოლეჯი ერთ ცვლაში შეძლებს 12 პროფესიული სტუდენტის მიღებას (1 ჯგუფში). შესაბამისად, ორ ცვლაში სწავლების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი შეძლებს 24 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორი ჯგუფი).

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესი დასრულდება სექტემბერში და ვიმედოვნებთ, რომ იმ დროისთვის ყველაფერი წესრიგში იქნება და ეს კოლეჯი იქნება ერთ-ერთი საამაყო რეგიონში, ვეცდებით რომ რეგიონში განვავითაროთ პროფესიული განათლება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა შესყიდვები და აღჭურვილობის სრულად უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესყიდვების პროცესი მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 29**).

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 2.2, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 10 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა საბჭოს არ დაუზუსტებია.

33-ე საკითხთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ამ პროგრამას ახორციელებს მოდულური მიდგომით, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება არსებული კვოტის ფარგლებში გარკვეული ნაწილი დაუთმოს დუალურს, ამ შემთხვევაში დებულება არ ითვალისწინებს კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებს, ამიტომ მონიტორინგის გზით მივდივართ, ეს პროცესი შეთანხმებულია ხელმძღვანელობასთან, იურისტებთან, შესწავლილი იქნა თუ როგორ უნდა მოხდეს გადანაწილება მოდულურ და დუალურ მიდგომას შორის, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექსპერტებმა ყურადღება მიაქციონ ხელშეკრულებებს საწარმოსთან.

33. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „მეფუტკრეობის“ (ქ. სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

საკითხი წარადგინეს ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ და თამარ ახალაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა განაცხადი „პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შესახებ" შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზაზე „მეფუტკრეობის“ მე-3 დონის მოდულური მიდგომით განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების დასაბუთებაში აღნიშნულია, დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 20-ით (მოდულური) და სურს არსებული კვოტის ფარგლებში 10 (მოდულური) და 10 (დუალური). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განსახორციელებლად დაწესებულების სენაკის ბაზაზე ყველა საჭირო რესურსი არსებობს, თუმცა რეგიონში კვალიფიციურ მეფუტკრეობაზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, სენაკში ფუნქციონირებს კოოპერატივი „ოცნება“, რომელიც რამოდენიმე მეფუტკრე - ფერმერს აერთიანებს და რომელიც გამოთქვამს მზაობას „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების გზით ითანამშრომლოს უნივერსიტეტთან, რეალურ სამუშაო გარემოში მოამზადოს კვალიფიციური პროფესიული კადრები - მეფუტკრეები და გააფართოვოს კოოპერატივი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "მეფუტკრეობის" (განხორციელების ადგილი ქ. სენაკი მშვიდობის ქ. № 192) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. დაწესებულების მიერ გაკეთებული განაცხადის მიხედვით - მეფუტკრეობა საკმაოდ პერსპექტიული დარგია, საქართველოში ასევე კარგი პირობებია ბიომეფუტკრეობის და ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოების თვალსაზრისით. დაწესებულებას მჭიდრო საქმიანი და საგანმანათლებლო კავშირები აქვს მეფუტკრეობის ასოციაციის მეფუტკრე-ფერმერებთან, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების პროცესში მონაწილეობენ როგორც პროფესიული მასწავლებლები, ასევე პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ შესაძლებელია 20 პროფესიული სტუდენტის მიღება, ორ ცვლაში სწავლებით. ამავე დროს დაწესებულება ითხოვს 10 პროფესიული სტუდენტის სწავლებას დუალური მიდგომით. ამ შემთხვევაში სწავლის შედეგების 55% -ის დადასტურება მოხდება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო სწავლება განხორციელდება სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №16 (12.03.2021წ) დამტკიცებული „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“-ს შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ პროგრამაში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია

მოდულის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოდულური მიდგომით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულების გადაწყვეტილებაა, ნაწილობრივ დუალური მიდგომითაც პროგრამის განხორციელება (მოთხოვნილი რაოდენობა - 10 სტუდენტი), რომლის დროსაც სწავლის შედეგების 55 % მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და რისთვისაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კოოპერატივთან „ოცნება“. კოოპერატივი შედგება 10 წევრისაგან. დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების პროცესში, სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, კოოპერატივის ყველა წევრი მეფუტკრე - ფერმერის მეურნეობა იქნება ჩართული სასწავლო პროცესში. კოოპერატივი დუალური მიდგომით სწავლების დროს გამოყოფს ინსტრუქტორს, რომელსაც უშუალოდ ექნება ურთიერთობა სტუდენტებთან და სასწავლო დაწესებულებასთან. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას, პირველად სამედიცინო დახმარებას - საჭიროების შემთხვევაში. ასევე პარტნიორი ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას მისცეს სტუდენტებს შრომის ანაზღაურება (შესაძლებელია ნატურით) და შესთავაზოს ბიზნესის დაწყება და კოოპერატივში გაწევრიანება. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ ისინი საკმაოდ ატიურად თანამშრომლობენ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“. ჩატარდა ტრენინგები დუალური სწავლების საკითხებთან დაკავშირებით. უკვე დასრულდა პირველი ეტაპი და იგეგმება მეორე ეტაპიც. ამრიგად, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

